

# დემოკრატიული საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

ქეთაუთი—გლეხები იხსნიან...

ალ. ახათიანი—ავგოსტოს აჯანყება.

კომანდო—1924 წელი.

გენო—აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს.

რ. ინვილი—ბუნებისათვის ბრძოლისა.

ანტონ ქოჩქელიანი—«მინც ბრუნავს».

უცხოეთის მიმხილვა.

ნაური—წერილი ამერიკიდან.

ალფა—საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან.

კაჟი—მცირე შენიშვნა.

ადერბეიჯანელთა შორის.

ლუარსაბ სიხარულიძე და სხ.

## გ ლ ე ხ ე ბ ი ი ხ ს ნ ი ა ნ . . .

საბჭოთა ვითარება საშინელ სურათს წარმოადგენს: სიმშლილი, მილიონები მსხვერპლი და... ტერორი, სულ ტერორი.

მთავარი ძალა, რომლის დაძლევას დიქტატურა ლამობს, არის და რჩება გლეხობა. უკანასკნელი არა ყრის იარაღს, პირიქით, კიდევ უფრო მეტის ენერგიით ატარებს საბოტაჟს და მოსავლის სისტემატიურ ქურდობას. მართალია, სოფელი მოწყვეტილია სოფელს, პროვინცია—პროვინციას, მაგრამ მზგავსი მდგომარეობა მზგავს სულისკვეთებას მჭმნის და ბრძოლა იღებს სტიქიურ საყოველთაო ხასიათს.

დეკრეტები საკმარისი არ გამოდგა, არც სოფლის პარტორგანიზაციები—ეს საჯაროთ აღიარა სტალინიზმა—და შექმნა ეგრ. წოდებული პოლიტოტდელები, ე. ი. სპეციალური ქანდარმერია ქალაქის ნაცად მუშა კომუნისტებისაგან და შეუხსია სოფელს. პოლიტოტდელები თავს ადგიან კოლხოზებს, სოფხოზებს, ინდივიდუალურ მეურნეთ, ჯოხით ამუშავებენ და ჯოხითვე ართმევენ ნამუშევარს.

გლეხი მინც «ჯეოტობს»—ასე ახასიათებენ მშვიერს, როცა ის თავის ხორბალს იპარავს—და მის წინამდევ ყველა რესპუბლიკების ბრალმდებლებს აერთებენ და სათავეში გეპუუს თავმჯდომარეს უყენებენ «სოციალისტურ საკუთრების» დასაცავათ. იმავე მიზნით არსებენ ბავშთა «კავალერიას» სოფლად, რომლის დანიშნულება დარაჯობა და დასმენა ქურდებისა, გინდ ისინი საკუთარი მშობლები იყვნენ. პიონერებმა ისე ისახელეს თავი, რომ სპეციალურ დამბეზლებელ სკოლებსაც კი ხსნიან.

მთელ ამ ჯოჯოხეთურ პროცესს სარჩულად

«ბრძოლა არსებობისათვის» უძევს. მუშა ილაშქრებს გლეხზე, რადგან პური შია, რისი შედეგიცაა ერთი საოცარი მოვლენა: ქალაქი შედარებით ნაკლებ დამშეულია, ვინემ სოფელი, ან უკეთ—მომწევი უფრო დამშეულია, ვინემ წამრთმევი. სოფელსა და ქალაქ შორის ამოუვსებელი ორმო ითხრება, მოსისხლე მტრებად ქცეულან, და ეს გარემოება უნდა დიქტატურას ნამდვილ კვარცხლბეკად გახადოს თავის რეჟიმისთვის.

თუ წინეთ გლეხი ქალაქს არ ეკარებოდა, ერთგვარ ბოიკოტსაც კი უცხადებდა მას, ეხლა სწორეთ ქალაქისკენ გარბის პურის საშოვნელათ. აქ მას ახალი საპასპორტო სისტემა ხედება, ე. ი. უკან აძევენ და მასთან ერთათ სხვებსაც: უმუშევრებს, არაკეთილსაიმედოთ.

იყო დრო, როცა წითელ ჯარზე გამყარებით იმედს, რადგან მასში იგივე გადაცმული გლეხობა ჭარბობდა. მაგრამ ჯარი მოისყიდა უკეთ დაპურებაჩაცამ და ეხლა ხალხი თავისთვისაა, ჯარიც თავისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირველი თავს წამოწევს, მეორე ჩაკრავს.

უარესი როლი დააკისრეს მუშას—აი, რაა მომენტის დამახასიათებელი. «ბრძოლა არსებობისათვის» ისე ღრმათ შეიჭრა ცხოვრებაში, რომ მხავგრეულად თითქო არა ხელისუფლება გამოდის, არამედ მუშა. ესეც შენი «დიქტატურა პროლეტარიატისა»! ჩვენ თითქო ვცდებოდით, როცა ეს ლოზუნგი სასაცილოთ არ გვყოფნიდა, როცა ჩვენი შეგნება გადაგვქონდა მუშებზე. ჩვენ არ გვჯეროდა ზოგიერთების დაკვირვება, რომ მუშები თავისად სთვლიან ხე-

ლისუფლებასა და, მიუხედავად მის დანაშაულებათა, მაინც ის ურჩენიათ, ყველაფერს აპატიებენ!

მართლაც, განა ხელისუფლებაც მეტ ყურადღებას მუშებს არ აქცევს, ვინემ გლეხებს? ეხილება ქალაქში სანოვაგეს და, თუ საუბრობა, გზავნის მუშებს სოფლად გლეხების მოსარჯულებლათ, დასარბევათ, განა იმისთვის არ გაჰყავდათ ხუთწლოდი, რომ მუშათა კლასი თავის საბატონო სიმარგედ ექციათ? ან რაა კოლხოზები, სოფოზები, თუ არა იმავე ბატონობის გამუდმების ცდა?

მაგრამ აქ წაატება დიქტატურამ ფენი. გლეხობა წინამდევობას უწევს, ვერ იგუა ყანების ქარხნებად გარდაქმნა, ეს შეუძლებელიცაა სამეურნეო თვალსაზრისით. იწყება დიქტატურის აგენტურის დემორალიზაცია, სოფლის კომუნისტები ტყდებიან, მათი ორგანიზაციები ქედს იხრიან გლეხობის წინაშე, ახალ ქანდარმერის ისინიც ებრძვიან. მაშასადამე, ძირითადი კითხვა გადაუჭრელი რჩება: გაგრძელდეს თუ არა ძალადობის და მტაცებლობის რეჟიმი და მით მოისპოს თუ არა სოფლის მეურნე?

დიქტატურის პასუხი ცხადია, ის ძალადობის მომხრეა, ამისათვის გლეხებსაც გასწირავს, მუშებსაც და აი კიდევ მოსახლეობის ყველა კატეგორიების და ხელობის საყოველთაო წმენდვა იწყება. რას ნიშნავს ეს? ერთის მხრით, პარტიბილეთიანთა რიცხვი მეტია, ვინემ შეუძლია შეინახოს; მეორეს მხრით, ჯანყის სული შეპარულა მუშათა ფართე მასებში, თვით პარტიულ ორგანიზაციებში, ასე წარმოიდგინეთ, სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებში. ხუთწლოდის მარცხმა, ინდუსტრიალიზაციის შეფერხებამ და მრავალ «გიგანტების» შეჭრებამ ქუჩაზე გამოყარა უთვალავი მუშები, აქედან უმუშევრობა, რომლის გაქრობით ასე მოჰქონდა თავი მოსკოვს, ისევ მასიური მოვლენაა, ხოლო მისი დამხმარე კასები, დიდი ხანია, გააუქმეს.

ყველა ეს, თავისთავით ცხადია, ბადებს უკმაყოფილებას, სასოწარკვეთილებას ხალხში, მაგრამ ამას ზედ ერთვის ჩაგრულ ერთა ბუნებრივი მისწრაფება სრულიად განშორდენ ამ ჯოჯოხეთს, გამოეყონ კავშირს. უკანასკნელი ცნობები უდაოდ ხდიან, რომ მოსკოვი დიდად დაუფრთხია ამ მოვლენას. იღებენ არაჩვეულებრივ ზომებს მის აღმოსაფხვრელათ. მეტია ლაპარაკი, არალეგალური ეროვნული ორგანიზაციები გეპეუს სანადიროდ გამხდარან, მაგრამ თვით არარტუს რესპუბლიკების ეგრ. წოდ. მთავრობანი, ადმინისტრაცია, იუსტიცია, კომპარტიები კარგავენ მოსკოვის ნდობას და ამიტომ მათ ერთმევათ უკანასკნელი ავტონომიური უფლებები, რომელსაც ცენტრი ითვისებს.

ამ რიგათ, დიქტატურას დაპირდაპირებიან გლეხი, მუშა, მთელი ხალხი, ჩაგრული ერები პირველ რიგზე. ყველა ისინი შურისძიების გრძობით არიან გაქვნილინი, მხათ არიან «ლინჩით» მოსპონ მტარვალეები, მათი სისხლი დალიონ. ძნელი წარმოსადგენია, რა სახეს მიიღებდა ეს საბედისწერო შეტაკება, ვინ გაიმარჯვებდა, ვინ დამარცხდებოდა, რადგან დიქტატურას ჰყავს, როგორც დავინახეთ, თავისი ჯარი, გეპეუ, პარტია, კომსომოლი.

მაგრამ დღეს დღეობით ზედაპირზედ მაინც გლეხობის სასოწარკვეთილი წინამდევობა სჩანს ყველაზე აშკარათ და დასანახათ. მას ებრძვის თავდავიწყებით დიქტატურა, არ ზოგავს არავითარ საშუალებას, ხარჯავს უკანასკნელ თოფის წამალს და საცაა იარაღი ხელიდან გაუვარდება. ამის პირველი ნიშანია სტალინის ახალი ლოზუნგი: ერთი მილიონი ძროხა უკეთეს კოლხოზნიკებს საკუთრებად!

ეს შეიძლება კარგი ანგელოტიცაა იმავე დროს, დიქტატურას უფრო სერიოზული წამალი რომ არ არ ჰქონდეს გამოგონილი: ესაა უცხოეთის დახმარება. თუ წინეთ გერმანია უმაგრებდა მას ზურგს, ესლა უფრო მდიდარი სახელმწიფოები აპირებენ მიშველებას: საფრანგეთი, შვედეთული მტატები. და ეს დიდი საქმე რომ არ ჩაიფუშოს, დიქტატურა სასტიკათ ებრძვის სიმშლის გახმაურებას საზღვრების გადაღმა; ის წინამდევიცაა სოროლის მუქათ შემოზიდვის, რომელმაც დიდი ხალხი იხსნა 1921 წელს. მას აინტერესებს რეჟიმის და არა ხალხის ხსნა.

მჩვიწყებულია, რა თქმა უნდა, დამპნივი, მონური შრომა, რომელსაც ასე ფარისევლურათ ჰგმობდენ უცხოეთის პრესაში. სტალინი არ ერიდება დიდის ზემით გახსნას ბალტიის და თეთრი ზღვების გამაერთიანებელი არხი, რომელიც ასი ათასთა მონის შრომით გათხარეს. რამდენმა პოლიტიკურმა, რამდენმა მეცნიერმა ჩატოვა იქ თავისი ძვლები! არხის გათხრა გეპეუს ჰქონდა ნარდათ აღებული, მაშასადამე, მისი ტყვეები ღვრიდენ იქ ოფლს, მშვიტიტველნი, განწირულნი.

სანამდის? სანამდის გაგრძელდება ეს ჯოჯოხეთი? აი, კითხვა, რომელიც ცეცხლის ალით არის აშვერილი ჩვენს წინაშე. საბჭოთა კავშირის ხალხმა, მისმა გლეხობამ უკვე გასცა ამ კითხვას პასუხი, პასუხი გამანადგურებელი, სიკვდილის კარამდე მიმყვანი.

მტარვალნი უცხოეთისაკენ აშვერენ ხელს, მაგრამ ამათ, ევროპა-ამერიკა თვითონ დიდ კრიზისს განიცდის, ვერ უშველის იმდენათ, რომ იხსნას ისინი ხალხის, გლეხობის რისხვისაგან.

გლეხი იხსნის ქვეყანას, ჩაგრულ ერებსაც.



აგვისტოს აჯანყება

აგვისტოს აჯანყების წლისთავი მწარე მოგონების დღით გარდიქა ჩვენი ერისთვის. მაგრამ არა მარტო ამ ერთს დღეს იგონებს საქართველო და ემიგრაცია 1924 წლის აგვისტოს თვეს. ათი წელიც არ გასულა მას შემდეგ და ჯერ კიდევ მრავალი ცოცხალი ძაფები აკავშირებს ჩვენს საზოგადოებას უშუალოდ ამ აჯანყებასთან. ბევრნი არიან პირადი მონაწილენი და ბევრნი კიდევ მახლობლენი და ქირისუფალნი იმათი, ვინც ამ ბრძოლებში გაიწირენ და თავი დასდევს. მაგრამ ესეც დასრულებდა და ყოველი ცოცხალის დამძლევი და მომწინებელი დროთა მსვლელობა თან წაიღებს ამ თაობას ყველა მისი თავგადასავლით და განცდებით. მაგრამ ის ვერ გაუქმებს აგვისტოს აჯანყების ხსოვნასა და მოგონებას. აგვისტოს აჯანყების ხსოვნა დარჩება ქართველ ერში მის მონაწილეთა და თანამედროვე საზოგადოების განცდებისაგან გამოყოფილი. მტერ-მოყვარეთა ყოველგვარი ცალმხრივობისგან განწმენდილი, გასპეტაკებული და ისე შევა ის ჩვენს მატთანში, საქართველოს გრძელ მანძილიან და მდიდარს მატთანში.

აგვისტოს აჯანყების ხსოვნა არ გამოსახავს მხოლოდ 1924 წლის აგვისტოს გამოძახილს. ის მოგონებაა 1921 წლიდან ყველა ჩვენი ბრძოლებისა და აჯანყებების. აგვისტოს აჯანყებამ თავი მოუყარა ყოველსავე ამას ჩვენი ერის გრძობებში და ამიერიდან ის გამოხატავს, როგორც აგვისტოს, ისე 1922 წლის კახეთ-ხევსურეთისა და ისევე 1921 წლის სვანეთის აჯანყებას. ასე გაერთიანებულად და განუყოფელად დარჩება ხალხის მესხიერებაში ყველა ეს აჯანყებების და ბრძოლების გადანახალი ძიძი მსხვერპლი და საამაყო თავდადება. ხოლო მემატთანენი აღწერენ ცალ-ცალკე ყველა ამ ბრძოლებს, მათი წარმოშობისა და განვითარების განსხვავებულს პირობებსა და თვისებებს. ბევრია მათში საერთო და ბევრი განსხვავებული. სულ რამდენიმე თვე გავიდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოქრის შემდეგ, რომ სვანეთმა აჯანყება გამოაცხადა და ექვსი თვის განმავლობაში აწარმოვა და ფაქტიურად გამარჯვებით დაასრულა. სვანეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება კიდევ უფრო ნაკლებად საპატივო იყო საბჭოებისათვის. ვიდრე პოლონეთთან დადებული ზავი. მაგრამ ეს იყო ხანა ქართველი ერის დიდი სულიერი დეპრესიის 1921 წ. თებერვალ-მარტის თვეების შემდეგ. ძვირად თუ ვინმე გაბედავდა ფიქრს, რომ შემოსული მტერთან იარაღით შებრძოლება შეიძლებოდა, რომ ამ დიდს ბუმბერაზსაც შესაძლოა მოექნებოდა აქილესის სუსტი ტირფი. ამის გამო სვანეთის აჯანყებას არ ჰქონია ფართე გამოძახილი და ეს კიდევ იმის გამოც, რომ იმ ხანად არ იყო მიღწეული მებრძოლ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება. ერთი წლის შემდეგ სვანეთის მთებში მიღებულ ფიცმა ხევსურეთის ხე-

ბებში ჰპოვა გამოძახილი. კახეთ ხევსურეთის აჯანყებას უფრო შემზადებული აღმოაჩნდა აზრი და განწყობილება მთელს ერში და ასევე მის აქტიურ პოლიტიკურ წრეებში. ის უკვე სულიერად მთელს საქართველოს დაუკავშირდა და უკვე დაწყებულ გაერთიანებულ განმათავისუფლებელ ბრძოლის არეში მოჰყვა. 1924 წლის აჯანყება უკვე თავიდანვე იყო საერთო, საქართველოს ყველა ნაწილებისა და ყველა მებრძოლ ძალების საქმე, ის საერთო იყო სხეულებრივ და ასევე პოლიტიკურად და ამით აიხსნება, რომ მას განსაკუთრებულად უფრო დიდი გამოძახილი ჰქონდა შინ და გარედ და გაცილებით უფრო ღრმად ჩარჩა ერის ხსოვნაში.

დიდი ხანი არ გასულა ამ უკანასკნელი აჯანყების შემდეგ, ხოლო დიდათ დიდი ცვლილებები მოხდა ამ ხნის მანძილზე ჩვენი განმათავისუფლებელ სამინაო და საგარეო პირობებში. ამის მიხედვით უთუოდ იშვიათად თუ ვინმე მოიპოვებდა საქართველოში, რომელსაც ასეთი გამოსვლების კვლავ განმეორება მიზანშეწონილად მიაჩნდეს. ჩვენი ბრძოლის ახალი პირობები ახალს გზებსა და ახალს საშვალეებს გვიკარნახებს და ჩვენ ძველს ვერ დაუბრუნდებით. მაგრამ 1921 წლის შემდეგ საქართველოს მიერ ნაწარმოებ ბრძოლათა მემკვიდრეობა ფრიად დიდს ძალას წარმოადგენს ჩვენთვის განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ახალ გზებზე.

მეფის რუსეთმა გადალახა ასი წლის წინეთ დადებული პირობა და მოციმული აღთქმა და გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრივობა. ფრიად დაცემული იყო და დაუძღურებული საქართველო, მაგრამ ამ აქტზე მთელი რიგი ძლიერი აჯანყებებით უპასუხა ოცი წლის მანძილზე მთიულეთში, კახეთში, იმერეთში. ასევე მოიქცა კომუნისტური რუსეთი ერთი საუკუნის შემდეგ და ასეთივე იყო ქართველი ერის პასუხი—სვანეთის, კახეთ-ხევსურეთის და აგვისტოს საერთო აჯანყებები. ამ აჯანყებებმა დაანახეს ყველას, მტერს და მოყვარეს, შინ და გარეთ, რომ ქართველ ერს არ დაუკარგავს ის ბრძოლის უნარი, რომლის მეღვებით ის იცავდა თავის სახელმწიფოებრივობას მრავალ საუკუნეთა მანძილზედ. მაგრამ ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ თვით ჩვენ, თვით ჩვენმა ერმა მიიღო ასეთი რწმენა, მტკიცე და ურყევი. ჩვენ უკანასკნელ თაობებს უთუოდ ემჩნეოდა ერთგვარი სკეპტიციზმი ამ მხრივ. განა ბევრი იყო ჩვენში ისეთი, რომელთაც სწამდა, რომ ჩვენს დროშიდაც შესაძლებელი იყო სამშობლოსათვის ისეთი თავდადების მაგალითები, რომელნიც ჩვენ ლეგენდებთ გვეჩვენებოდა ჩვენს ისტორიაში? ასეთი რწმენა დიდი ძალაა და ეს ძალა ჩვენ შეგვიძინა 1921 წლის შემდეგ განაწევი ბრძოლებმა და აჯანყებებმა.

ალ. ასათიანი.

1924 წელი

ავვისტოს აჯანყება..

... ეს მეცრევერ ვიგონებთ ავვისტოს აჯანყებას სახლვარ გარეთ.

მეცხრე წელია საქართველო ვერ დღესასწაულობს მისი გმირული ბრძოლის ამ შესანიშნავ დღეს; მას იგი ვერ ხვდება სათანადოთ და უფლება აყრილი, ტყვედ ქმნილი მხოლოდ ჩუმი სასოებით და მოწიწებით იგონებს ავვისტოს ცეცხლიან დღეებს. ავვისტოს მაგალითზე იწვრთნებიან და იზრდებიან მებრძოლთა ახალ-ახალი გუნდები; ტანჯვასა და წამებაში ერი სჭედს თავის მომავალს, რომლის სავალ გზებს ავვისტოს ჩირაღდანი ანათებს. ამ დღეს აქ და იქ, გადმოსწევილი ქართველი და სამშობლოში ბორკილებ დადებულნი, ერთნაირად ფიქრობენ, ერთნაირად უძვრთ გული და ერთი აზრით, ერთი მრწამსით შეპყრობილნი მიიწევენ წინ მომავლისაკენ—ტყვედ ქმნილ ერის განთავისუფლებისაკენ.

ავვისტოს აჯანყება ქართველი ერის ტანჯვის, წამების და აწიოკების ღვიძლი შვილია. ამ დღეებში გაერთიანდა საქართველო სამუდამოდ და სამიღვინე-ჩიოთ. ავვისტოს დროში დაეუფლა საქართველოს გულს და ის ამაყად ფრიალებს მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, მტრისაგან დაუზოგველი ქლესისა და აზრებისა. ის დღესაც დგას ურყევი და გაუტყნელი თავის პოზიციებზე მტკიცე გადაწყვეტილებით—იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. ავვისტოც ამის საწინდარია.

ამ დღეს საქართველომ—«სონის ოდენა ქვეყანამ»—დიდი რუსეთი სასპარეზოთ გამოიწვია; მტრის სიძლიერეს არ შეუშინდა და გმირულ ბრძოლაში ჩაება. ვის არ ახსოვს აჯანყებულ ხალხის ენტუზიაზმი, ქალების, მოსუცების და ბავშვების მებრძოლთა გვერდით ტრიალი, გასაჭირში ერთად ყოფნა, ერთი სულით და ერთი მისწრაფებით გამსჭვალვა, კბილებამდე შეიარაღებულ რუსის ჯარებზე უიარაღო ხალხის ხელჩართული ბრძოლა? მახსოვს ტფილისის აჯანყების დღეებში. როგორ განირჩეოდა ქართველობა მტარვალთაგან. პირველნი თავაწეულნი, წელში გამართული ქუჩაში გამოფენილი და აქტივობის მაძებარნი. მეორენი თავჩაქინდრული და დაფრთხალნი. პროვინციებიდან ცნობები ცნობებს მისდევენ: აიღეს ზუგდიდის და სენაკის მახრები... აჯანყებულნი დაიძვრენ ქუთაისისაკენ... ჭიათურაში ბრძოლები მიდის. გურია აჯანყებულთა ხელში. ბათუმთან ბრძოლა სწარმოებს... დასავლეთი საქართველო აჯანყებულთა ხელშია. მანგლისი დაიპყრო ჩოლოყაშვილმა. დუშეთი და გორის მახრები აჯანყების ცეცხლშია. კახეთიც აღსდგა. ტფილისს აჯანყების რკალი ერტყმება... აი რა ცნობები მოსდის ხელისუფლებას და, რა გასაკვირია, იგი შიშის ზარმა აიტანა. მაგრამ შიშსაც თავისი კანონი აქვს. საოკუპაციო ხელისუფლებამ გადასწყვიტა საქართველოს ძვირად დაუჯინოს თავისუფლება. და იწყება ტყვეთა ხვრეტა. რუსის ჯარები «ეშალანები» იგზავნიან სხვადასხვა მიმართულებით. სასწორი ძალისაკენ იხრება. გამართლებული საქართველო ვერ

უძლებს რუსეთის მოზღვავებულ ძალებს და იგი მეორევერ მარცხდება.

ავვისტოს აჯანყება დამარცხდა ტექნიკურად. მაგრამ მტერმა ვერ დაამარცხა მისი შინაარსი, მისი დროშა. მტერმა ვერ გასტეხა ერის მებრძოლი სული, თავისუფლების სურვილით გაქვნილი. მიუხედავად ბარბაროსული წესებისა, ათასობით გათხრილ გმირთა საფლავებისა ხალხს გული მაინც არ გასტეხია, დამარცხებულ ფიზიკურად გამარჯვებული გამოვიდა მორალურად. იგი შეუდგა მებრძოლ რიგების გადაწყობას, მათ ბრძოლის ახალ ნიადაგზე გაშლას. ელვის სისწრაფით აღიდგინა დამარცხებით დაშლილი პოლიტიკური ორგანიზაციები და იგი მტერს დაუპირდაპირა. ეს იყო პირველი შედეგი ერის მორალური გამარჯვების და ამას მტერიც აღიარებდა არამხადა კახიანის პირით.

ავვისტოს აჯანყება უმშვენიერესი ფურცელია ქართველი ერის ხანგრძლივ ისტორიაში. ძვირად დაუჯდა საქართველოს ამ ფურცლის ჩაწერა. მაგრამ მან კარგად იცის, რომ თავისუფლებას უბრძოლველად ვერაზინ იღებს, გულზე ხელის დაკრეფა და ბედზე დამორჩილება მონათა ხვედრია. საქართველოს ამაყ ხალხს ეს არ ეგუება. ამიტომაც იგი ასე გაკაყებულნი, ერთსულოვანი და უტყუნი თავის მიზნებისთვის ბრძოლაში. განვლილი ბრძოლები მისთვის მაგალითია აწმყოს შესაფასებლად და ახალი ტაქტიკის გამოსაყენებლად. ამდენედად ავვისტოს აჯანყება, როგორც ფაქტი, ისტორიას ეკუთვნის, ხოლო მისი პოლიტიკური დასკვნები აწმყოს და მომავლის გზა და ხიდია. ამ ცხრა წლის წინად ავვისტო რუსეთის და საქართველოს ვითარების ლოლიკური დასკვნა იყო. დღეს კი რუსეთში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. ერთის მხრივ დგას კომუნისტური ოლიგარხია ჩეკის რაზმებით, ხოლო მეორე მხრივ დამეუფლი, ენაწამები და უფლებდა აყრილი რუსის და ჩაგრულ ერების მკიდრთა მილიონები. ამ ორ ბანაკთა შორის წღვარია გავლებული, ორმო გათხრილი. ეს გარემოება იძლევა სულ ახალ ტაქტიკას, რომლის საფუძველია ავვისტოს დროში. ამ ვითარებაში იგი საერთო ნიადაგია ყველა ჩაგრულთათვის და გამოიხატება არა სეპარატულ გამოსვლაში, ცალ-ცალკე მოქმედებაში, არამედ რუსეთის სინამდვილით შექმნილ ოპოზიციონერ ძალებთან კონტაქტში და, ყოვლის უპირველესად, ჩაგრულ ერების მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში. ამიერიდან ავვისტო უნდა ვანდეს რუსეთის დაჩაგრულ ხალხთა მებრძოლ დროშათ. საბჭოთა კავშირის დამოხრებულ ერთა და ხალხების მთლიანი ფოონტი, ერთად მოქმედება და ერთად დგომა კრემლის წინამდევ—აი რას გვასწავლის ავვისტო. აი რას ჩავგზურჩულებენ მისთვის თავდადებულ გმირთა სახეები.

ავვისტო დამარცხდა განცალკევებული—იგი განმარჯვებს გაერთიანებული და მასთან აღსდგებიან დახმცილ მებრძოლთა ლანდები და თავისუფალ საქართველოს დიდებას უგალობენ.

კომანდო.



### ავსაჯეთი უახლოეს წარსულში და დღეს

(წერილი საქართველოდან)

(დასასრული)

#### VII. მუშათა მდგომარეობა და გადასახადები.

მე უკვე ვილაპარაკე ნაწილობრივ მუშათა უმრავლესობაზე, რომელთა ხვედრია: გაუივრება, სიმშრომა, იძულებითი წესით მუშაობა და დაპატიმრება გადასახლება. ესლა შევეხოთ თვით ქალაქის მუშებს. აქ ძირითად მუშებად ითვლება ნავთ-სადგურის მუშები. მათი შესწავლა ჩვენ გვეუბნება, რომ არასოდეს არ ყოფილან ისინი ისეთ მდგომარეობაში, როგორც დღეს. წარმოების დაცემით და გლეხების მიერ გამოცხადებული ეკონომიური საბოტაჟით შემცირდა ექსპორტი-იმპორტი; მუშების საარტელ ბრიგადებში გაერთიანებით და მათი ნაოფლარი კაპიტებიდან განუწყვეტილ პროცენტების აღებით მუშის ხელფასი მინიმუმამდე შემცირდა. მაგ. სოხუმის და სხვა ნავთ სადგურის მუშები თვეში იღებენ 130-150 მანეთამდე, ხოლო ფთოი სიმინდის ფქვილი ივნისის პირველ რიცხვებში ღირდა 40 მან. ამ 130-150 მანეთს მძიმე ტვირთად აწევდა ობლიგაცია, რომელიც ეს 4 წელია მუშების მკვლე ჯამაგირის მუდმივი თანამგზავრია. ამას დაუმატეთ კიდევ სხვა გადასახადები. ასე, რომ უკეთეს შემთხვევაში მუშას ხელზე 90-100 მან. თუ რჩება, ეს მისთვის მიღწევად. პურს თითონ დღეში 2 გირვანქას იღებს, ოჯახის წევრებისათვის 300 გრ. ჯერ ერთი ეს ორი გირვანქა პური მას არ ყოფნის, რადგან გარდა პურისა მას შეჭამადი არაფერი გააჩნია. მერმედ ბავშვისთვის 300 გრამი პური, ცხადია არ კმარა. ასე, რომ მუშას ცხოვრების ნორმალურ პირობებშიაც, თუ მას არ შეხვდა ავადმყოფობა, სიკვდილი, ან სხვა რაიმე უბედურება—პურის ფასდაც არ ეყოფა მისი ხელფასი. ხელფასის დანაკლისს იგი მისი და ოჯახის შიმშილობით ავსებს და სიცოცხლეს მით ინარჩუნებს. ეს მდგომარეობა ხშირად მუშას ბოროტმოქმედებასაც ადენებს. იგი მოხერხებულ დროს იპარავს საწყობიდან სანოვავს ან სხვა რაიმეს. ასეთი მოვლენები ხშირია. იგი მასიურ მოვლენად იქცა საბჭოთა ტრანსპორტში. ზოგჯერ საქმე აქტის შედგენით თავდება, მაგრამ ხშირად ამ ნიადაგზე მთელი ორგანიზაციები აღმოჩნდა, მაგ. 1932 წ. მაისის ბოლო რიცხვებში პასუხისგებაში მიეცა და დაისაჯა გადასახლებით და პატიმრობის სხვადასხვა ვადით სოხუმის ნავთსადგურის 27 მუშა, რომლებსაც ბრალად ედებოდა ქართოფილის, ღვინის და სხვა პროდუქტების ორგანიზაციული მოპარვა ნავთსადგურის საწყობიდან.

განსაკუთრებით მძიმე პირობებშია მუშა ქალები, რომლებიც მუშაობენ სეზონურ სამუშაოებზე და ისიც დღიურათ. მინდვრათ თამბაქოში მუშაობის დროს ავდარში სამუშაოარი არ არის. დარში ნამუშევარი ავდარშიაც უნდა ეყოს. თუ ქალს ერთი ბავში ყავს, მისი ერთი დღის ხელფასი მასა და ბავშვს უხორცო სადილს აჭმევს (ხოლო ბავშვიანი ქალები

კი აქ ბევრია, რომელთა ქმრები რუსეთში დაუხვრეტიათ, გადაუსახლებიათ, ან სადღაც გაქცეულან), თუ არ ისადილებს, მარტო პურისთვის იქნებ გაუივრებით ორ დღეს ეყოს. ამრიგად იგი ხშირად უპუროდ რჩება და გზა ეხსნება საშინელ სოციალურ სენს—პროსტიტუციას. იგი ისე ბუნებრივი ხდება საბჭოთა სინამდვილეში, რომ ქალი, რომელიც თავის წნეობას პატიოსანი შრომით იცავდა—ჯანმრთელობასაც ალარ უფრთხილდება და ლუკმა პურთან ერთად იძენს უკუბრუნებელ სენს და გარყვნილის სახელს. პურზე სცვლის წნეობას, ჯანმრთელობას და ყველა იმ სისპეტაკეს, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა. ამ გზით აფხაზეთის ქალაქის მცხოვრებთა 80 პროც. ვენერიული სენით არის შეპყრობილი.

უბინობა, შიმშილი, ნახევრად უმუშევრობა, მუშაობა უმუშევრის «პაიოკით», ხელფასი დატვირთული ობლიგაციებით და გადასახადებით და ბოლოს ქურდობისა და პროსტიტუციის გზით მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების დაკარგვით—აი, ხვედრი მუშათა კლასის, აი გზა, რომელზედაც იგი დადის.

ნუ თუ ჩვენი გაქვალტყავებული, უფლება აყრილი მუშები ადამიანები არ არიან, რომ მათ შესახებ არაფერს ამბობს ბერნარდ შოუ და სხვა ჩვენი ქვეყნის მუშების «მეგობრები»? ესენი ერთეულები ხომ არ არიან? ნუ თუ ძნელია ათასეულების დანახვა იქ, სადაც ერთეულების ფოტოგრაფიული სურათებით იტვირთებიან და მიაქვთ კულტურულ კაცობრიობის თვალის ასახვევად?

მაგრამ დავანებოთ თავი ბერნანდ შოუებს, ამ ევროპის გამაძღართა კმაყოფით მთქნარებას და დაუბრუნდეთ ჩვენი დუხჭირ ცხოვრების სურათის დასრულებას.

განსაკუთრებით 1931 წლის მოძრაობის შემდეგ პირდაპირი გადასახადები იმდენად თვალსაჩინო სიდიდის ალარ არის სოფლის მეურნეობაში, მაგრამ გადასახადების მხრივ ფაქტიურად გლეხის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. პირდაპირ გადასახადების გაზდას უკლეს და ზრდიან არაპირდაპირ გადასახადებს, რომელიც ტარდება კოლოპერაციის და სხვადასხვა ხელოსნების, თუ ექიმების დაბეგვრით. გლეხების ხელში ღვინო-არაყისა და თამბაქოს კონტრბანდა ხშირად ფულს ატრიალებდა. ყოველ შემთხვევაში აფხაზეთში გლეხობა გაცილებით უფრო კარგად ცხოვრობდა, ვინემ მუშა-მოსამსახურე, ამიტომ საჭირო შეიქნა მათი შეზღუდვა და ამ თანხების «ამოქაჩვა», როგორც ბოლშევიკები ამბობენ. გზა კი ამ თანხების «ამოქაჩვის» შრავალია: პირველი—დაბეგვრა იმ სახელოსნოების და პირების, რომლებიც აუცილებელია გლეხობისათვის. მაგ. ავილოთ ექიმები. თითოეული ექიმი იმდენად დაიბეგრა

1932 წლის მისიდან, რომ ბევრმა მათგანმა მისაღები კაბინეტი დაკეტა. ისეთ პატარა ქალაქში, როგორცაა გუდაუთი, ექიმის დაბეგვრა აღწევდა 3.000-6.000 მანეთამდე. პირველ ხანებში ექიმებმა უარი სთქვეს მუშაობაზე, მაგრამ განა ხელისუფლება რაიმე წინააღმდეგობას მოითმენს? შეშინებულმა ექიმებმა მუშაობა განაახლეს. მით უმეტეს, რომ ისინი ამით არაფერს აგებენ. ექიმები მხოლოდ სადგურია, საიდანაც უნდა გაიაროს საბჭოთა კარისაკენ გლეხების ნაოფლარმა.

მეორე სახის დაბეგვრა დიდი რაოდენობით ეხება ხელოსნებს. წვრილი ხელოსნობა აფხაზეთში ბლომად იყო ჩამოსახლებული, რადგან თვით აფხაზები ხელოსნობას ნაკლებად მისდევდნენ. ამიტომ აქ ხელოსნობას დიდი გასავალი ქონდა და აქვს, რადგან კოლპერაცია გლეხის მოთხოვნილებებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს. ამიტომაც გლეხებზე შეტევა ამ სიმაგრეიდან ხელისუფლებამ მიზანშეწონილად სცნო და გადასახადების ქვეშევრდები, გლეხებისკენ მიმართული, ხელოსნებს ამოაფარა. ხელოსნები აპრილში დაიბეგრენ ყოველდღიური შემოსავლის მიხედვით. ამან ხელოსნის ძირითადი გადასახადი უცებ საშვალოდ წლიურად 3-4 ათასამდე აიყვანა და ხელოსნებს უფლება მისცა, როგორც უნდათ ისე გაეყიდათ თავიანთი საქონელი. ორი თვის განმავლობაში სახელოსნოები დაკეტული იყო მთელ აფხაზეთში. მერმედ კი გააღეს, მაგრამ 40 მანეთად, რომ მამაკაცის წაღებს ყიდდნენ, ის უკვე 70 მანეთამდე გახდა და ასე შემდეგ. მაგრამ, ცხადია, ასეთ მძიმე პირობებს ზოგი ვერ უძლებს და უფრო სუსტნი იძულებული არიან თავისი სახელოსნო დაკეტონ და შევიდნენ სახელოსნო არტელში, როგორც დაქირავებული მუშა ხელი. ამ არტელებში კი განსაკუთრებული წესებია: აქ მუშა დებულობის თვიურ ჯამაგირს. ეს ჯამაგირი სანარდო სისტემის გამო განისაზღვრება იმით, თუ რამდენი გამოიმუშავა მან. ამ მისი გამოიმუშავებული ნაწილს იღებს თიონ, დანარჩენი კი რჩება სარეწაო კოლპერაციას. ხლო მისი კუთვნილი ნაწილიდან მას აკლებენ სხვადასხვა გადასახადების სახით განსაზღვრულ პროცენტებს, რის შემდეგ მისი ჯამაგირი უბრალო მუშის ხელფასსაც ვეღარ ედრება.

ამ რიგად, არაპირდაპირი გადასახადის უკანასკნელად მოხსენებული ხერხით ხელისუფლებამ შესძლო ორი კუთრდობის დაჭერა: ერთის მხრივ გაატარა დაბეგვრა და გაზარდა შემოსავალი; მეორეს მხრივ დაიმორჩილა სარეწაოების დარგში მისი კონკურენტი—წვრილი ხელოსანი—და შექმნა მისი დაქირავების და ექსპლოატაციის პირობები.

არაპირდაპირი გადასახადის გატარების ყველაზე დიდ ორგანიზაციას საბჭოთა კავშირში წარმოადგენს კოლპერაცია. ამ მიზნით გამოყენებულია, როგორც სარეწაო და სასოფლო სამეურნეო, ისე სამომხმარებლო კოლპერაცია. უკანასკნელ წლებში არა მარტო აფხაზეთში, ყველგან კოლპერაციამ სრულიად დაკარგა დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახე და იგი ხელისუფლების აგენტი გახდა არაპირდაპირი გადასახადების დარგში. კოლპერაციის მუშაობის

უკანასკნელი მეთოდები და ფასების პოლიტიკა საუკეთესო ნიმუშია მასის აღვირახსნილი ექსპლოატაციის. ფასების დიფერენციაცია კოლპერაციას საშვალებას აძლევს ბოლშევიკებს ემსახუროს ღირსეულად. დახურული განმანაწილებლები ბოლშევიკების ნახევრად უფასო საწყობებია. ზოგიერთი დახურული განმანაწილებლების და დახურული სასადილოების ზარალს ფარავს ე.წ. კომერციული ფასები, რომელსაც ატარებს კოლპერაცია კომერციულ მალაჩებთან და სასადილოებით. უკანასკნელ ხანებში გამოავლდა დახურული განმანაწილებლები. ასე რომ ამ მრავალი დახურული განმანაწილებლების ზარალს, ცხადია, ვერ აიტანდა კომერციული ვაჭრობა, ამის გამო ჯერ ნელ-ნელა და შემდეგ მასიურად კომერციული ფასები შეიტანეს დახურულ განმანაწილებელ კოლპერაციაში. ასე რომ ახლა დახურული განმანაწილებელი დაიყვანეს ორად: ერთია ჩვეის დახურული განმანაწილებელი, სადაც ყველაფერია, მეორეა—მუშა-მოსამსახურეების, სადაც არაფერი იშოვება და რაც არის, ისიც კომერციულ ფასებში.

აფხაზეთში კომერციულ ფასების დიფერენციაციის ახალ სისტემას დიდი გასავალი დაურჩა. აფხაზი გლეხისაგან უკანასკნელი კაპიკების გამოტანის მიზნით, ხელისუფლებამ 1932 წელში დაიწყო დიდძალი ფართალის შემოზიდვა. ფართალი, მაგ. უბრალო ჩითი, რომლის თვითღირებულება ყველა ზედნადები ხარჯებით 52 კაპ. არ აღემატება მეტრი, იყიდებოდა 2 მან. 50 კაპ. და ხან მეტადაც. გატიტვებული ხალხი, მიუხედავთ სიძვირისა, მაინც ეტანებოდა, უკანასკნელ საღვრებს იღებდნენ და იძენდნენ ნარმას და ჩითს. საქართველოს სხვა კუთხეებში დიდი ხანია ფართალი, შეკერილს გარდა, კოლპერაციაში არ უნახავთ. მოაქვთ აქა-იქ ფერადი აბრეშუმები, მაგრამ მისი ყიდვა გლეხს არ შეუძლია. ორცა ხმები დავარდა გურიაში და სამეგრელოში, რომ აფხაზეთში ფართალი იშოვებოდა, აუარებელი გლეხები მოაწყდა ამ მხარეებიდან 10 მეტრი ფართლის შესაძენად (ერთ მყიდველს აძლევდნენ 10 მეტრს). ამით კოლპერაცია უდიდეს თანხებს აგროვებდა. გლეხები კი პერანგის შოვნით კმაყოფილნი იყვნენ. ხელისუფლების მიზანიც ეს იყო.

შემოიღმა რუსეთის გლეხი გადმოავდო აფხაზეთში, სიტიტვლემ და სხვა გაკვირვებამ საქართველოს სხვა კუთხეების გლეხები გადმოყარა აქ. რად მორბიან აფხაზეთში? იმიტომ, რომ აქ განსაკუთრებული პირობებია. მართალია აფხაზეთი დღეს ბევრად უარეს მდგომარეობაშია, ვინემ იგი იყო სხვა დროს, მაგრამ უკეთეს მდგომარეობაშია ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეები. ამის გამო აწყდება აფხაზეთს ამდენი ხალხი. დიდხანს გაგრძელდება კი ეს? არა მგონი. ხელისუფლების ეს ვითომცდა ლოიალური პოლიტიკა აფხაზეთისადმი მიზნად ისახავს აფხაზეთის გლეხების თვალის ახვევას და მისი მიღრეკილების რუსეთისაკენ გადახრას. მაგრამ რამდენად შესძლებენ ამას კრემლის აგენტები: ლაკობა, ლადარია და მანნი მათნი—ამას ახლო მომავალი დანახვებთ. ხელისუფლება უკანასკნელ შეტევისათვის ემ-



ზადება და აფხაზი გლეხის საბოლოო დაკვირსათვის ნიადაგს ამზადებს, მაგრამ არც გლეხობას სძინავს, მან თავის ზურგზედ საქმოდ გამოსცადა რუსეთის და მისი ლაქიების «მეგობრობა», რომ ესლა დამპალი ჩითით და ნარმით მოსტყუვდეს.

დაბოლოს ერთი ფაქტი: ხელისუფლებამ დასავლეთი საქართველო და აფხაზეთი გამოაცხადა ტექნიკურ კულტურის რაიონად და აკრძალა ხორბლეულობის წინანდელ რაოდენობით თესვა. აქ განზრახვა აშკარაა: სიმინდი, პური, ქართოფილი საკვებია გლეხისათვის, თუ ის მას მოყავს. ამით გლეხი დამოუკიდებელი ხდება ხელისუფლებისაგან. ეს კი ხელსაყრელი სრულიადაც არ არის უკანასკნელისათვის, რომელსაც უნდა ქართველი და აფხაზი გლეხი რუსეთის პურის შემყურე იყოს. ხოლო ეს უკანასკნელი მდგომარეობა კი ბოლშევიზმის პირობებში, როგორც ვსთქვით, გლეხობის ბედის ხელისუფლების ნებასურვილისათვის დამორჩილებაა. ამიტომაც გლეხობა გაშმაგებით ებრძვის ხელისუფლების ამ სამეურნეო ღონისძიებას და ცდილობს საბოტაჟით და გეგმების ჩაშლით თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ამრიგად აფხაზეთის გლეხობა ეკონომიურად, პოლიტიკურად, სამეურნეო ინტერესებით და ფსიქოლოგიურად გადაბმულია საქართველოს სხვა კუთხეების გლეხობის ბედთან. ეს მდგომარეობა მას უკონანებს სათანადო ტაქტიკასაც. აფხაზეთმა სცადა განთავისუფლების ძველი სეპარატიული ხერხი 1932 წელს. იგი არ გამოდგა, მდგომარეობა ისევ ძველი დარჩა, და თან მსხვერპლიც ახალი დაიმატა. ამ მოვლენამ აფხაზეთის შეგნებული ნაწილი კიდევ უფრო გამოაფხიზლა. მან იცის, რომ მისი განთავისუფლება მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეების განთავისუფლებასთან; მან იცის, რომ აფხაზეთის ბედი მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოსთან. ე. ი. იმ ერთან, რომელთანაც მას აერთიანებს თავისი წარსული და მომავალი და რომლის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს თითონ წარმოადგენს.

აფხაზეთი უცდის საბჭოთა კავშირის მშრომელთა და ქართველი ერის გენერალურ შეტევას დესპოტიის ციხე-სიმაგრეზე.

გენო.

აფხაზეთი. 1932 წ.

### ბუნებისათვის ბრძოლისა

თუ წრეს გადასული ოპტიმიზმი უვარგისია პოლიტიკურ ბრძოლაში. მთლად დამოუკიდებლად უნდა ჩაითვალოს მეორე უკიდურესობაში გადავარდნაც, სასოწარკვეთილებით თავში შენა და. ერთი მეგრე-ლისა არ იყოს, «ვაგა ჯიმა პერტეს» მოთქმა. პირველი აღუწებს და ასუსტებს ბრძოლის უნარსა და კბადებს მეტისმეტად შეუფერებელ სულიერ განწყობილებასა, როცა ადამიანი ველარ ერკვევა სინამდვილეში. კვენით თავი მოაქვს, არაფრათ აგდებს მოპირდაპირებს. ფანტატურ გეგმებს ეძლევა და ამისა გამო თვით საზოგადოებასაც, ხალხის მასებს ილუზიებში ჰხვევს და აბრუებს... მეორე ხომ ყოველსავე ბრძოლასა და თავშენახვას თავიდანვე განწირულათა ჰხდის: და მართლაც როგორა გნებავთ მტერს წინამდევობა გაუწიოს ხალხმა. თუ ის დარწმუნებულია, რომ ბრძოლა მის შემუსვრით დამთავრდება! პესიმისტურად განწყობილსა და სულით დაცემულ ხალხს ბრძოლის ბაირალი ხელთ დიდხანს ვერ შეჰრჩება. უიმედობით შეპყრობილს გასროლილი ტყვია უკანვე ეცემა!

ვინც ბრძოლაში ებმება და ისიც დიდი მასშტაბით, მხედველობაში უნდა ჰქონდეს შესაძლებელი გართულებანიც, რაიცა ასეთ შეტაკებებს თან ახლავს. ვინც ამისათვის მომზადებული არ არის, იმისი შეგნება მაინც ვეალება ჰქონდეს, რომ სამოქმედო ასპარეზს დროზე ჩამოსცილდეს, რათა ერთი უკიდურესობიდან მეორეში ქანაობით, თვისდაუხებურათ არ მოშალოს მეომართა რიგები, არ მიაყენოს საქვეყნო საქმეს გამოუსწორებელი ზიანი. არაფრის მაქნისია მხედარი, რომელსაც ერთი გამარჯვება თავდავიწყების ალტაყებაში ისვრის და ასევე მომხდარი

მარცხი მიმომწულილელობის მორევი ანარცხებს.

იმ დღიდან, როცა საქართველო იძულებული შეიქმნა სამკვდროსასიცოცხლო ომში ჩაბმულიყო თავისი ეროვნული და სახელმწიფოური არსებობის აღსადგენათ, განმათავისუფლებელ რაზმებს მიეტმანენ ისეთი ელემენტებიც, რომელთა მოწინააღმდეგეობა ქართულ საქმისათვის მაინცადამაინც აქტივში ჩასაწერი არ გამოდგა. აქ თავი მოიყარეს სხვადასხვა «კრიტიკოსებმა», ალარმისტებმა, მუზუმუზებმა, უიმედობით შებოჟილ პესიმისტებმა, მეგალომანებმა და, რაც თავიდათავია, ისეთებმაც, რომლებმაც თავის საღმრთო, ასე ვთქვათ, პროვიდენტულ დანიშნულებათ მიიმჩნიეს ორგანიზაციულად შეკრულ პოლიტიკურ ერთეულების წინამდევ ცხადი და უფრო კი ფარული მოქმედება და მათი სახელის გატეხა. ასეთმა ინდივიდებმა არც იმ გარემოებას გაუწიეს ანგარიში, რომ დღეს საქართველოს პრობლემა ასცილობს მის სახელმწიფო და მეტყილად გარეთ, კაცილობის წინაშე ადიმართა და მის დაკვირვებისა, შესწავლის და მსჯავრის ობიექტათ გარდაიქცა. აქ, საზღვარგარეთ ჩვენსას ყოველისფერს ზვალყურს აღევნებენ, აქ წვრილმანსაც კი, რასაც რაიმე შეგნება აქვს ქართულ საკითხთან, იხსომებენ და დავთარში ჰწუსსავენ. მე გეკითხებით, რა სახელი უნდა მიეცეს ისეთ ქართველ პიროვნებასა, თუ ჯგუფსა, რომელთა «პატრიოტული» მოღვაწეობა ამათჟიმ მთავრობების სახელზე დაბნელებათა წერასა ჰმარბდება? სასაცილოა, ღმერთმანი! სასირცხლოა რომ არ იყოს! ვინაჰყავთ ამოღებული მიზანში ამ ხალხს? მოსკოვი და მისი დამქაშები, ჩვენი ამწიოკებლები? თუ ასეა, რა

უშავს, გაიფიქრებს მკითხველი! იქნება, მართლაც ბოლშევიკების ავაზაკობა აშინაარსებს ამ დემორანდუმებს! ხათაბალაც სწორეთ ის არის, რომ ზოგიერთებს საქართველოს ხსნის საქმეში კომუნისტების ვინაობა მიავიწყდათ და ამკლავებულ მუშტებს თავისავე მთავრობასა და მის ორგანოებს უშენენ. მიზეზი? საქართველოს მთავრობა თურმე მეორე ინტერნაციონალის ყურმოჭრილი ყმაა, მას არა გაეგება რა ქართული საქმისა და არც თუ თავს იტკივებს ამისთვის! ამიტომ ნუ უჯვრებთ მას, ჩვენ შეგვეკითხეთ და ჩვენი ისმინეთ...

პატივი არა მქვას მარქსიზმის მეგობართა შორის ვირიცხებდეთ და არცთუ რომელიმე ინტერნაციონალს ვემოყვრები, მაგრამ მეცა და ჩემი პოლიტიკური თანამოაზრენიც ეროვნულ მთავრობას მხარში ვუდგევართ ათასი მოსახრებისა გამო და თავდაპირველად იმიტომ, რომ არ მოიპოვება სხვა რამ ერთეული, რომელსაც ძალუძდეს კანონიერათ მისი ადგილის დაჭრა. ამისა გარდა არა ერთგნითა თქმულა, რომ ემიგრაციაში ხელისუფლების საკითხის აღძვრა არ არის სერიოზული საქციელი: ტიკები მაშინ უნდა გებრთ, რთველის დრო რომ მოიწვეს... ყოველივე ამის გარეშე, არსებითათაც განა მხოსმკლებული არ არის ქართველი ერის მთავრობის შუბლზე მხოლოდ სოციალისტური ინტერნაციონალის დამლის ხილვა!.. კანონი, შექმნილი საქართველოს უფლებამოსილ დაწესებულებათა მიერ საქართველოსავე სიცოცხლის დროს ნუ თუ შეიძლება ვილაკების კაპრიზის მიხედვით მერიცვალოს და ისიც იმ დროს, როცა საქართველო მრისხანე მტრის მიერ მუხრუჭმოდებულია?! ისე კი ქართულ პოლიტიკურ ორგანოებისადმი კრიჭაში დგომის გარდა, სამოქმედო სარბიელი ყველასათვის გაშლილია და ფართოა, გარნა თქმულა: დიღმის მინდორზე ბებრუცუნა ვერ ეტეოდაო!..

ქართველი ერის ისტორიაში ეხლანდელი—რუს-ბოლშევიკებისა და მათ დაქირავებულ «ოპოზიციეზებს» ნავარდობა უნდა ჩაითვალოს ერთერთ სუსნიან ხანათ, თუ გნებავთ, ნამდვილ განსაცდელათ; საგონებელში ჩავარდნილი არის მთელი ერი, მთელი თავისი არსებითა და ბუნებით. ამჟამინდელმა ჩვენმა დატაკებამ რუსეთთან უკვე მიიღო გარკვეული სახე ნამდვილი ეროვნული ბრძოლისა: დაპირისპირებული არის ორი განსხვავებული სახეობა, ორი ისტორია, ორი კულტურა, ორი ნაციონალ-სოციალი სტრუქტურა, ორი ადათი და ზნე, ორი ფსიქიკა და, შეგვიძლიან პირდაპირა ვთქვათ, ორი მსოფლმხედველობა...

ზოგიერთ ცრუბენტელას რომ შეეკითხოთ ამის თაობაზე, იქნება მოპყვეს აბდაუბდას შესახებ იმისა, რომ საქართველოში ქართული წერაკითხვა არ არის აკრძალული და თვით უნივერსიტეტში მეცნიერებას ქართულად ისმენენ. რატომ, შეიძლება ზოგ კომისარსაც არ ერიდებოდეს შოთას ენის სარგებლობა, მაგრამ ეს და ამგვარი სხვა რამ შესაძლებლობა განა იმისი მაჩვენებელია, რომ ქართველი ერი ქართული იდეითა და ჰანროვნებით იწვრთნება?! ნუ თუ ამდენ-განვლილმა ჟამმა საქმარისად არ ნათელპყო მესამე

ინტერნაციონალის შეხედულება და მისი ცენტრის — მოსკოვის მიერ— აღებული ხაზი ყველა იმ საგნებისადმი, რომელთა ზედა ასხმული არის ქართული სული და არსება? ვარნა ეს სტრიქონები იმათთვის ხომ არ იწვრება, ვისაც ქართულად დაწერილი ჩვეის განაჩენი ქართულ სიტყვიერების გამოსახულობათ მიაჩნია!

საქართველოს განთავისუფლების ბრძოლა უქვეელია ამხნობამდის გამარჯვებით დასრულდებოდა, უკეთუ საერთაშორისო გართულებანი და არევდარევა ხელის შემწყობ ფაქტორად არ მოპვლენოდა საბჭოთა რუსეთს. ჰეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ რუსის დათვის რეალ საშიშროებას სწორეთ დღევანდელ უკუდმართობაში წარმოადგენს. აბა დააკვირდით, როგორი სურათი იშლება: საქმარისია ერთი სახელმწიფო დაპშორდეს რუსეთს, რომ მყისვე მეორე მას «დაუმეგობრდეს», იმისდამიუხედავთ, რომ არც ერთი არ ენდობა კომუნისტების სამფლობელს. რა უძვეს სარჩულად ამ უტენაურობას? მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის დაშლა და პოლიტიკური უმარქნისობა. ურთერთისადმი შური და შიში და ხვალინდელობის მიუთხრობლობა... საფრანგეთ-გერმანიის ყრუ და პერმანენტული კონფლიქტი და ამისა გამო რუსის დათვის ჯაჭვის ერთის ხელიდან მეორეში გადასვლა ტიპიური ნიმუშია იმისა, თუ რა სიტუაცია სუფვეს ქვეყნად.

ჩვენზე რომ გადმოვიღოთ ყველა ეს. საბაბი გვეძლევა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ჩავგვიხლა სხვათა დავამ. საფრანგეთი გერმანიის შიშით რუსეთს შეეკრა პაქტით, უკანასკნელმა კი ისარგებლა ეს და ქართული წარმომადგენლობის გაუქმება მოითხოვა.

შეადრწუნებს ეს გარემოება ქართველ მეომარ გუნდებს? არავითარ შემთხვევაში, თუ წერილის თავში ნათქვამს ავიცდენთ. ეგროპის პოლიტიკური აბერრაცია მხოლოდ ტკივილად დაპრჩება ქართულს—მეტი არაფერი.

საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლას კიდევ ერთი იმპულსი ემატება. ბოლშევიკების უკანასკნელი თავდასხმა უფრო გააყუებს მამულისათვის იარაღსმულთ.

მე მგონია, რომ უკვე მოიწია ჟამი ერთობის მანიფესტაციისათვისაც, ხოლო ისეთების გამოკლებით, რომელთა ამაო ხმაურობა და ჩოჩოლი უშნო ყვავის ჩნავილივით აუგემურებს მიდამოს: ათას უბულო მეომარს—გულადი—ორი სჯობია...

რ. ინვილო.

„მ ა ი ნ ც ბ რ უ მ ა ვ ს“

ერთი მეგობარი, სხვათა შორის, მწერს: საელოზ აღარ გვაქვს პარიზში. დავიდუბეთო. ჩემი მეგობარი აქარბებს და ნამეტანსაც აქარბებს, რა თქმა უნდა. იმას კი არ კვირობს, რომ აქამდისაც შეინარჩუნა საზღვარგარეთ ოფიც. წარმომადგენლობა იმ ერმა, რომლის ტერიტორია უკვე 14 წელიწადია უჭირავს





შეიარაღებულ უცხო ძალას. ასეთი მაგალითი, ვგონებ, ისტორიამ არც კი იცის და ეს ნიშნავს, რომ საქართველოს საკითხს არაჩვეულებრივი ადგილი ეჭირა საერთაშორისო საკითხებში და—ნუ გაიკვირვებთ—უჭირავს კიდევ. მით რომ საელჩო აღარ არის, ჩვენი საკითხი არ მოხსნილა და ის სდგას ძველებურათ უფლებბრძოლის მხრით. ქართველი ერი არსებობს იურიდიულათ, ხოლო მისი ტერიტორია დაკავებულა უცხოელის მიერ, ეს არ ნიშნავს, რომ ის რუსეთს ეკუთვნის და ეს არც არავის დაუდასტურებია. ეს იქნება ასე, სანამ ქართველი ხალხი ფაქტიურ მდგომარეობას არ შეუთრგდება და თავის განთავისუფლებას იფიქრებს. კლემანსო ამბობდა: წაგებულა ის საქმე, რომელიც მიტოვებულიაო. ქართველი ხალხი კი თავის საქმეზე ისევე ფიქრობს დღეს, როგორც გუშინ და იფიქრებს ხვალაც.

წუწუნი არასოდეს არ შევლოდა საქმეს. მოთმენა და გამძლეობაა საქირო იქ ჩვენში, სამშობლოში, და დაეუმატოთ, აქაც გადმოხვეწილთა შორის. ნაკლებათ ვიფიქროთ თავის თავზე. მეტი ვიზრუნოთ საერთო საქმეზე. არავინ არ უნდა გამოეთიშოს იმ ცენტრს, რომელიც გვერდში ყავს ჩვენს მთავრობას და რომელიც ყველა არსებულ პარტიებისგან შესდგება. ნუ გავსწყვეტთ იმ რგოლს, იმ საერთო ფრონტს, რომელიც ასე საქირაო. განსაკუთრებით დღეს.

დიახ. მოთმენა და გამძლეობა, სანამ არ დამდგარა ქამი უკანასკნელი ბრძოლის, სულიერი სიმტკიცე, მორალურათ გამაგრება, და მოვა დრო, დრო ტანჯული ერის. დღეს მთელი მსოფლიო საეჭვო მდგომარეობაში იმყოფება. ჰაბანწყვეტაშია კაცობრიობა, არავინ იცის, ხვალ რა იქნება. თუ ქვეყანა ამ მდგომარეობიდან თავს დააღწევს, ქართველი ერიც გამოსავალს იპოვს. არავინ არ დაუშვას ერთ წუთსაც, თითქმის ყველაფერი გათავდა. ისტორია ათი და ოცი წლებით არ ითვლება. დღეს ასეა, ხვალ სხვა იქნება.

«მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჯაჰეს გასწყვეტს გმირთა გმირი,  
სიხარულათ შეეცვლება  
ამდენი ხნის გასაქირი».

ეს გმირობა ქართველმა ერმა უნდა იკისროს თავის თავზე, მხოლოდ მასზე კიდია მისი იღბალი.

საელჩო აღარ არის, ჩემო მეგობარო? მარა არის უკვდავი საქართველოს უკვდავი დროშა, უდიდესი ემბლემა ერის დამოუკიდებლობის, მისი არსებობის, სამფეროვანი დროშა, სიმბოლო მეტროპოლი ერის! საელჩო დავკარგეთ? დროშა დავიცვათ და ეს არის მთავარი. არაფერი არ შეცვლილა. დავმარცხდით ამ პატარა საქმეში? ბრძოლა გრძელდება! დიახ, ბრუნავს, «მაინც ბრუნავს!» მაშ ყველანი ჩვენ წმიდა დროშის ქვეშ!

ანტონ ჟორჟოლიანი.

უცხოეთის მიმობილვა.

კონფერენციები.

განიარაღების საერთაშორისო კონფერენცია კიდევ გადაიდო. ეს რამდენჯერ წელიწად და ნახევრის განმავლობაში? გაჰქრა დიდი იმედები, კაცობრიობა ღონე მიხდილი, მიხანი მიუღწეველი. გერმანიაში რეჟიმის შეცვლამ მთლათ არია საქმე. უნდობლობა და ქიშპობა იზრდება, მშვიდობიანობას ომის საშიშროება ეცილება, ლამის პირველ გრძობას მეორე სძლიოს. გასულ წელს უმთავრესი დაბრკოლება გერმანიის მიერ სრული თანასწორობის მოთხოვნა იყო. ეს თითქო კიდევ დააკმაყოფილეს, ზემოთ მოაწერეს ხელი თანასწორობის ოქმს, რაიცა ნიშნავდა მის განხორციელებას თანდათანობით და არა ერთბაშათ. მაგრამ ამ წელს დაწესდა გერმანიაში ახალი პოლიტიკური წყობილება—პიტლერიზმი და ყოფილმა მოკავშირეებმა დაიხიეს, გარანტიები მოითხოვეს და ამაში კი ვერ შეთანხმდნენ.

კონფერენციას წარუდგა სამი პროექტი: შვედეთებულ შტატების, საფრანგეთის, ინგლისის. ამერიკის პროექტის დედა-ძარღვი შეიარაღების ყველა სახის ერთი მესამედით შემცირება იყო. საფრანგეთის პროექტი მოითხოვდა ჯარების სისტემის გათანაბრებას, თუ ყველგან არა, ევროპაში მაინც, და ამაზე ზედ საქიროთ სთვლიდა ევროპის სახელმწიფოთა გარანტიას, რომ საერთო ძალით შეებრძოლებოდნენ შეთანხმების დამრღვევს. ინგლისის პროექტი ეცადა ორი პირველი შეეთანხმებინა, მაშასადამე, შემცირება და სისტემის გათანაბრება, და გარანტიის მხრივ ის აწვევდა სავალდებულო კონტროლს და არბიტრაჟს. ამას დაერთვა მაკდონალდის პროექტი, დიდი ყოყმანის შემდეგ ის საძირკვლად დაუდეს განიარაღების პირველ კონვენციას, მაგრამ, როცა თვითეულმა სახელმწიფომ თავისი შესწორებანი წარადგინა, აღმოჩნდა, რომ ამოცანა არც ისე ადვილია. განიარაღების კონფერენცია გადაიდო.

და... საბაბად აღიარებულ იქნა მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია ლონდონში. მართლაც და—ამბობდნენ სერიოზულათ—მშვიდობიანობისათვის ყველაზე საშიშია ეკონომიური კრიზისი, რომელიც მშვიდვარებს მსოფლიოში, უნდა მოვსპოთ წრეგადასული ქიშპობა, დაწვიოთ ძირს საბაჟო კედლები, გავაჯანსაღოთ საერთო ვალიუტა და მით მოვამზადოთ ნიადაგი ერთა დაახლოებისათვის, განვითარებისათვის.

მაგრამ ლონდონის კონფერენციას უარესი ბედი ეწია, ისე დაიხუტა, რომ ვერც ერთი სავალდებულო დადგენილება ვერ გამოიტანა, და მარცხის მისაფუჩეხებლათ დაადგინეს კონფერენცია იღება სხვა დროსთვისო, ხოლო როდისთვის მაინც ვერ აჩვენეს!

რა იყო მთავარი მიზეზი? ამერიკის გადაჭრილი უარი ამ თავითვე ოქროს ვალიუტას დაბრუნებოდა, მოეხდინა დოლარის სტაბილიზაცია. მართლაც უბედობაც ასეთი უნდა: სწორეთ კონფერენციის წინა კვირებში დატოვა ამერიკამ ოქროს დოლარი, როგორ შეეძლო ასე უცბათ დაბრუნებოდა მას, ხოლო კონფერენციას როგორ შეეძლო უამერიკოთ მიედ-

წია რამე შედეგს? ისე დარწმუნებული იყო ევროპა, ერთის მხრით, და ამერიკა, მეორეს მხრით, თავის აზრის უცოდველობაში, რომ რუხველტის დღევანდელი ორჯულ ჩაითრიეს ლონდონში და ორჯულვე დენაგუა ცია გაუკეთა მას აღამ! ევროპის აზრს იცავდა და მეთაურობდა საფრანგეთი, რადგან ისაა მეტი ოქროს დეპო ამერიკის შემდეგ; ინგლისი ირყეოდა, არ ჰქონდა თავისი მტკიცე ხაზი, ესეც დამახასიათებელია.

«რუხველტის ექსპერიმენტი».

ეს ფრაზა საანდაზოთ თქმულა ამ უამად, ყველა მას გაიძახის, ყველას მისკენ უჭირავს თვალი, ზოგი გულის ფანცქალით და ზოგიც გესლიანი ღმილით უცლის რუხველტის ექსპერიმენტის შედეგებს. პირველათ, როგორც ზევით ვახსენეთ, ამერიკა ოქროს დოლარს გამოეთხოვა იმ მიზეზით, რომ მრეწველობის და განსაკუთრებით სოფლის ნაწარმოების ფასები საშინლათ დაეცა, დაგროვდა აუარებელი ზინები საქონლისა, მყიდველი კი არა სჩანდა, აქედან უმუშევრობა 16 მილიონამდე ავიდა. პირველ ხანებში საქონლის ფასებმა აიწია, ხალხი სიხარულმა მოიცო, მაგრამ ისევე დაიწყო დაწევა და საქმე უარესათ აიწეწა. მაშინ მიხვდა რუხველტი, რომ საქმეს სხვა მხრივ უნდა მიდგომოდა, ამისათვის მან ფორდის პრაქტიკული მოსაზრება გამოიყენა. ან კი როგორ შეიძლება ფასების აწევა—მსჯელობს ის—თუ მყიდველი არაა, ხოლო მყიდველი საიდან გაჩნდეს, თუ მილიონები უმუშევარიო. და სცემს შრომის ახალ «კოდექსს»; რომლის ძალით მრეწველნი ვალდებული არიან დასწიონ სამუშაო დღე და ასწიონ ხელფასი! პირდაპირ გაუგონარი ამბავი კაპიტალისტურ ხანაში. ევროპის სინდიკატები, მაგ., ან კიდევ უენევის საერთაშორისო შრომის ბიურო მაქსიმალურ მოთხოვნად სთვლიდენ სამუშაო დღის კვირაში 40 საათამდე დაყვანას და ხელფასის იმავე დონეზე შეჩეზას. რუხველტი მოითხოვს 40-დან 30 საათზე დაყვანას ზოგიერთ დარგში, ხოლო ხელფასის აწევას!

დიახ, ეს მხოლოდ ამერიკაში იყო შესაძლებელი. ახალი ქვეყანა, ტრადიციებით ან უკეთ—ტრუმორწმუნოებით შეუბორკელი ამერიკა ისეთი ზომების გაყვანას ლამობს, რომელიც სულ ერთიანათ აფორიაქებს კაცობრიობის წარმოდგენას შრომა და კაპიტალზე. რასაკვირველია, რუხველტის «კოდექსი» ჯერ კიდევ კანონი არ არის, კონგრესის მიერ მოწონებული, მას გაყავს იგი იმ ახალი უფლებების ძალით, რომელიც კონგრესმა მიანიჭა. და ამერიკის პრეზიდენტი ხომ ისედაც მონარქზე უძლიერესია თავის მდგომარეობით. რუხველტმა დაარსა სპეციალური ორგანო ახალი ზომების «ნებაყოფილებით» გასაყვანათ და, უნდა ითქვას, მრეწველთა დიდი უმრავლესობა მიემხრო მათ და შედეგიც უკვე სჩანს: რამდენიმე მილიონი უმუშევარი უკვე ჩადგა საქმეში. არის, რა თქმა უნდა, დიდი სიძნელეებიც. ამკარა წინამდებეობაც, რომელნიც წინ ელდებიან რუხველტს. რაიმე დასკვნის გაკეთება ჯერ ნაადრევია, გარდა იმისა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ შებრძოლებია ჯერ ასე გაბედულათ მძვინვარე ეკონომიურ კრიზისს.

პ ა კ ტ ე ბ ი .

პაქტომანია გრძელდება. კონფერენციები ჩაილულის წყალს სვამენ, ხოლო პაქტები სოკოსავით მრავლდებიან მათ ნანგრევებზედ. ტყუილა არ გამოუცხადა მუსოლინიმა ომი კონფერენციებს, ასამდე სახელმწიფოთა დღევანდების ერთათ შეყრა და მათ მიერ დადებით მუშაობის გაწევა მტკნარი ზღაპარია, ხოლო რამდენიმე დიდ სახელმწიფოთა შეთანხმება სრულიად საკმარისია, რომ სხვა სახელმწიფოებიც მათ შეუერთდენო. აქედან იშვა ოთხის პაქტი, რომელსაც ხელს აწერენ იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი. მართალია, ამას წინ უძლოდა დიდი ჩოჩქოლი: დუხე «დიდების» დირექტორიას აარსებს ევროპისთვის, სურს ვერსალის რევიზიაო. მის პირველ პროექტს სახე და შინაარსი შეუსწორეს. შეაგუეს ერთა ლიგის პაქტს, რევიზიაც დაუტყვემდებარეს დანტერესებულ სახელმწიფოს თანხმობას, და ამაში მთავარ როლს საფრანგეთი თამაშობდა. გასაგებია რატომ: რევიზია ემუქრებოდა მის მოკავშირეთ.

რა დარჩა მამ 4-ის პაქტიდან? ისა, რომ ოთხი დიდი სახელმწიფო ყოველ პოლიტიკურ თუ ეკონომიურ გართულების დროს ევროპაში ითათბირებენ და საერთო ძალდონით ეცდებიან მშვიდობიანობის დაცვას. სპეციალურათ განიარაღების კონფერენციანე ნათქვამია: თუ იგი ჩაიფუშა, ოთხი სახელმწიფო ითათბირებს, რა ზომები უნდა მიიღონ მდგომარეობის სახსნელათ. რასაკვირველია, ეს არაა დიდი რამ. მუსოლინი მეტს მოელოდა, მაგრამ ის მაინც კმაყოფილია და აქვს კიდევ ამის საბუთი. მართლაც, თუ ხსენებული დიდი სახელმწიფოები გულწრფელათ გასწევენ თანამშრომლობას, მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი იქნება ევროპაში და მით ნაწილობრივ მაინც მიღწეულ იქნება უენევის მიხანი.

4-ის პაქტში არ მონაწილეობს საბჭოთა კავშირი, ის არ მიიწვიეს, თუმცა მის «დიდობას» არავინ უარყოფდა. ამაში მოსკოვმა დაინახა იმპერიალისტური ზრახვები მის წინამდევ და ისარგებლა მოსახლდრე სახელმწიფოების უკმაყოფილებაც, რათა 10-ის პაქტი დაედო. ამ პაქტის მომწყობი ლიტვინოვია, ერთად ერთი გმირი ლონდონის მსოფლიო ეკონომიურ კონფერენციისა, რომელიც ესლა განისვენებს საფრანგეთში ტროცკის გვერდით. მართალია, ლიტვინოვის ყმედობას—საბჭოები გაგისალდებენ მილიონების საქონელსო—არავინ დაუჯერა ლონდონში, სამაგიეროთ მოსახლდრე სახელმწიფოებმა: ფინლანდიამ, ესტონიამ, ლატვიამ, ლიტვამ, პოლონეთმა, რუმინიამ, ოსმალეთმა, სპარსეთმა და ავღანისტანმა დაუჯერეს კულისებში და შეკრეს მოსკოვთან პაქტი, რომელმაც განსაზღვრა დავდამსხმელი და მით თითქო დაამყარა მათ შორის ნდობა და სიყვარული. მოტივები თვითეულ სახელმწიფოს თავისი ჰქონდა: ერთს ეშინია რომის, მეორეს—ბერლინის, მესამეს—მოსკოვის და სხ. საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ თავდაზღვევის მიხანს ისახავდენ ყველანი და თვითეული, და ეს კი გაგრძელებაა თავდაუსხმელობის და მეგობრობის პაქტებისა იმავე სახელმწიფოთა შო.



რის, რომელთაგან ერთ წყებას მეთაურობს მოსკოვი, მეორეს კი პარზიზი.

მაგრამ, როგორც შოთა ამბობს: ოდეს ვარდი გაიფიქრეს, არა ღირდეს არცა ჩირად, ამ პაქტებსაც დიდი ფასი არა აქვს. და რომ ეს ასეა, იქიდანაც სჩანს, თუ გნებავთ, რომ მოსკოვი ესლა რომს ეკვრის თავდაუსხმელობის და მეგობრობის პაქტით, რითაც ფიქრობენ პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილების გაქრობას, 4-ის პაქტმა რომ მოახდინა მოსკოვზე. და თუ გამართლდა ის ხმებიც, ვითომ პაქტი იტალიის რაღაც უფლებას სცნობს შავ ზღვაზე, მაშინ მართლაც ითქმის, რომ პაქტები თავის თავათ, ხოლო დიდი სახელმწიფოების ახალი გეზიც თავის თავათ...

წერილი ამერიკიდან

აქაურ კვირეულ ყურნალში The Saturday Evening Post ში, რომელიც დაარსებულია 1728 წელს ცნობილ მეცნიერ და დიპლომატ ბენიამინ ფრანკლინის მიერ და რომელსაც აქვს ორ მილიონზე მეტი ტირაჟი, დაიბეჭდა სხვადასხვა ნომერში ოთხი დიდი წერილი რუსეთის მდგომარეობის შესახებ ამერიკელ მწერალ ვილ დურანტის მიერ. ეს წერილები ღირს-შესანიშნავია ორი მხრით: ერთი რომ ავტორს ეტყობა აქვს ცოდნა რუსეთის ლიტერატურისა და ისტორიისა. განსაკუთრებით რევოლუციონურისა, რაც ნებას აძლევს მას შეადაროს წარსული აწმყოს და შესაფერი დასკვნა გამოტანოს. მეორეც, ავტორი როგორც თვითონ გულაზადილად ამბობს, სანამ რუსეთში ჩავიდოდა, დიდი თანამგრძობი იყო კომუნისტურ იდეებისა და წინამდევნი თავის ქვეყნის «დამპალი» ინდივიდუალურ, კაპიტალისტურ სისტემისა. შეუძლებელია ამ შინაარსიანი წერილების ვრცლად აქ გადმოცემა, რაიც სასარგებლო იქნებოდა თვით რუსეთში და საქართველოში მყოფთათვის, რომ იცოდნენ, რას ხედავს დაკვირვებელი უცხოელი იქ. ეს იქნებოდა ერთგვარი სარკე, რომელსაც ისინი მოკლებულნი არიან სასტიკი ცენზურის წყალობით. ისტორიული მოვლენაა, როცა არამც თუ პიროვნებები და ჯგუფები, არამედ ხანდახან მთელი ერი არ ხედავს თავის მდგომარეობას. დღიურ დუხშირში გართული არ აქცევს ყურადღებას, რომ სურის იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ ზის.

მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები. ავტორი ასე იწყებს თავის წერილს: «7 ივლისი 1932 წელს ქალაქ ვანკოვენში (ჩრდილო კალიფორნიამი) საჯარო კამათის დროს რომ შემეკითხნენ ჩემი აზრისა და შეხედულების შესახებ, სხვათა შორის ასე ვუპასუხე: მე-შინია, კომუნისში დამარცხდება, მაგრამ ღმერთსა ვსთხოვ მის გამარჯვებას... რადგან ვფიქრობდი, რომ იმ ბენიერ ქვეყანაში არ იყო უმუშევრობა. არც ვიწრო ნაციონალიზმი, არც იმპერიალიზმი, არც სურვილი ომისა, არც ექსპლოატაცია კაცის მიერ კაცისა, არც ბაჟი აჩერებდა მის საზღვრებში გარედან საქონლის შესვლას. იქ ყველა კაცები არიან ძმები, ყველა ქალები თავისუფალნი, როგორც კაცები. იქ მალე მსპობილი იქნება მძიმე მუშაობა. მალე

მთელი ქვეყანა, დალილი დესპოტიზმით, ნაციონალიზმით და ინდუსტრიალურ ექსპლოატაციით, გაჰყვება რუსეთის კომუნისმს და დაარსებს ბენიერ უტოპიას, რომელზედაც უბედურნი საუკუნოებით ოცნებობდნენ... აი ასეთი განწყობილებით წავედი სეატლიდან მოსკოვში... ამბობს ავტორი. მაგრამ პირველს გამომაფხიზლებელ სინამდვილეს ხედავს ქ. ომსკში.

«როცა უახლოვდებოდი ამ ქალაქს, მე უკვე ენტუზიასტური ბლზევიკი ვიყავი. ვფიქრობდი დოსტოევსკიზე, რომელმა აქ გადახვეწილმა გაატარა წლები. მკვდარ სახლში! მე ვფიქრობდი იმ ტანჯულებზე, ვინც აქ გაიარეს და თავისუფლებისთვის ბრძოლით დაეხმარნენ კაცობრიობას უტოპიის განსახორციელებლად... ვლამობდი თავისუფლების პავერით სუნთქვას... მაგრამ ჩემი ოცნება დაიმსხვრა, როცა ჩემი თვალები ვამუტერებულნი მოჩვენებას შესცქეროდნენ. სადგური მოფენილი იყო უმწეო ხალხით: მიწაზე მწოლარენი, კედელზე მიწოლილნი, მიყრდომილნი, თავის ტომრებზე, კალათებზე, კიდობნებზე მჯდომარენი, აქა-იქ მიგდებულნი—ყოველი წლოვანებისა; ლატაკნი, ლატაკნი ნამდვილად, გათავებულად. მე მინახავს ჩინეთში და ინდოეთში სილატაკე, მაგრამ მათ ტიტველ და დამახინჯებულ ტანებს ქონდა რაღაცა სიდიადე შედარებით ამ უსულო, საწყალ, ქონძებში გახვეულ ტანებისა. არც კანტონსა და ბენარესში მინახავს ასეთი წვირიანი ხალხი. ტვერში ამოსვრილნი, თვალები ტალახით სანახევროდ მიხუჭულნი, თმები მიწებებულნი... სასოწარკვეთილი ადამიანები ერთმეორეზე ეყარნენ როგორც თევზები კასრში... რას უცდიდენ აქ?—უცდიდენ დღეებით, კვირებით, თვეებით ომსკიდან გასვლას...

მოვიწინდებოდი სასტუმროში წასვლა. ჩემი ტურისტის წიგნში ნაჩვენები ტაქსი-ავტომობილი სად იყო! ძველი დამტვრეული დროვის პატრონმა სამი ვერსის მანძილისთვის 120 მანეთი მომთხოვა, ე. ი. 60 დოლარი... ოთახი სასტუმროში ღირდა 36 მანეთი დღეში, სადილი 10 მანეთი... მთავრობის ბანკი კი იძლეოდა 1 მან. და 94 კაპ. დოლარში, როცა მანეთი ნამდვილად ყიდულობდა მხოლოდ 2 ცენტის ღირებულობის საქონელს...

ჩემი ოცნება თავისუფლებაზე ნელ-ნელა გაჰქრა. თანდათან შევიტყვევ, რომ კომუნისში მტერი იყო თავისუფლებისა. გავიგე, რომ თავისუფლების მაგივრად მხოლოდ ტერორი მძვინვარებდა... თუ მუშამ სამუშაო მიატოვა, ეყარება პურის წიგნაკი, რომელიც ნებას აძლევს საათობით პურის რიგში იდგეს და მერე იზიმშილოს. თუ ხელფასის გასაუმჯობესებლად გაფიცვა მოახდინა—დახვრეტილი იქნება. თუ უკმაყოფილება გამოთქვა—დაუტერილი იქნება დამე და გაუსამართლებლად გადაკარგული... აქ არ არის სოციალური ცხოვრება. ყოველგან არიან გამცემლები. ყოველი მოქალაქე ვალდებულია, დააბნელოს საუკულო პირი. ძმას ეშინია ძმისა, ამხანაგს ამხანაგისა. ყველა ცდილობს არ გამოძვრეს თავის სიროდან და ილაპარაკოს ნაკლებად, რაც რუსისთვის ძალიან ძნელია...

ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ჩემ აღმოფთებულ შე-

კითხვანე—რატომ არ გადაადგდებთ ასეთ მთავრობას-  
თქვა?—პასუხად იყო ზიზღი და შიში გ. პ. უ-სი...  
მთელი დღე ქუჩებში გაისმოდა სალდათების ფეხ-  
ბის რახა-რუხი, რომელიც მცხოვრებლებს ხარხა-  
სცემდა... შევიტყვე, რომ ეს იყო ერთგვარი მეთო-  
დი ხალხის დასაშინებლად.. როგორც ჩინელებს  
ისე რუსებს უსწავლიათ ხელოვნება ჩუმი სიკვდი-  
ლისა... ოდესმე ამ ქალაქში ბევრი ტუსადი იყო, ახ-  
ლა კი მთელი ხალხია ტუსადი. ქუჩებში კი ბაირა-  
ლები ფრიალებდნენ, რომელნიც აცხადებდნენ კომუ-  
ნიზმის გამარჯვებას ჩინეთში და მთელ დედამიწის  
ზურგზე...

დღი ვაი-ვაგლახით ბ. დურანტი ჩადის მოსკო-  
ვში. სისწორით აღწერს კომუნიზმის ისტორიას და  
მის შედეგებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს  
რუსეთის დამლუპველ კოლექტივიზაციას. «აუარე-  
ბელი ჯარი სალდათებისა და მსტოვარების (ჯამუ-  
შების) სკდილობს ხიშტებით, მოაყვანიოს გლეხო-  
ბას პური საზღვარ გარედ გასატანად. მაგრამ შეუძ-  
ლებელია, დამშუღლ ხალხს, ნაკლები აქამო და მეტი  
ამუშავო. 1931 წ. პირველ იანვრიდან 25 აგვისტომდე  
რუსეთმა დასთესა 15 მილ. დესეტინა. ამავე დროს  
1932 წელში 7 მილ. დესეტინა». ცოდნით, ციფრებით  
ხელში ავტორი აღწერს «ხუთწლედის» დამარცხებას.  
«ცნობილ სტალინგრადის და ხარკოვის ქარხნების  
გამომშვებული ტრაქტორები, რომლებიც საჩქაროდ  
იყო აწყობილი, ხშირად რჩებიან დაუმთავრებელი  
და იუანგებიან თავის ადგილზე. გიგანტური ნიჟნი-  
ნოვგოროდის ავტომობილის ქარხანა, რომელიც  
უნდა ყოფილიყო ჰენრი ფორდის მეტოქე და რომე-  
ლსაც რამდენიმე მილიონი დაახარჯეს, გათავებისას  
უვარგისი გამოდგა და დღეს მიტოვებულია... ყოვე-  
ლსავე დარგში სიმრავლე ანადგურებს სიკარგეს...  
მოსკოვში მოროზოვის ქარხანაში 15 მილ. მეტრ სა-  
ქონლიდან 7 მილ. მეტრი იყო გაფუჭებული და უვარ-  
გისი... მოსკოვის ქარხნების მიერ გამომშვებული  
ფეხსაცმელები სამ კვირაში გაცდენენ»...

«არ მინახავს ერთი ღიმილი, არ გამოგონია ერთი  
სიცილი თუ არა თეატრში, განავრძობს დურანტი:  
აქ ხალხი ომობდა. მაგრამ ვერ დარგულა—მთელ ქვეყა-  
ნასთან თუ მთავრობასთან... ვიდ რუსეთში ბოლშე-  
ვიკების ფრანგოლოგია აწ ვერავის მოატყუებს. რუ-  
სეთის გარედ კი. სადაც ბოლშევიკების ფრანგოლო-  
გიას უფრო იცნობენ, ვიდრე საქმეს—მათ ტყვილებს  
ჯერ გასავალი აქვს... კომუნისტ მუშების უმეტესო-  
ბა, ვინც წავიდა რუსეთში სხვა ქვეყნებიდან, უკან  
იმედ დაკარგული დაბრუნდა, მაგრამ გაჩუმებულნი  
არიან, რადგან იციან, რომ ვისაც არ უნახავს რუსე-  
თის სინამდვილე, ნაამბობს არ დაიჯერებს...»

«დრო დადგა, როცა მთელი ქვეყნის გონიერებმა,  
ლიბერალებმა და რადიკალებმა უნდა გამოსთქვან  
თავის წყრომა ამ ახალ ყმობის წინამდევ. ცხადია  
რომ პოლიტიკანებ-დიქტატორებმა წაბილწეს, რა-  
საც ლიბერალური კაცობრიობა მთელი საუკუნოე-  
ბის განმავლობაში ეტრფოდა. თავის დაქინებულ  
გაუხარციელებელ დოქტრინებით ბოლშევიკები  
შიმშილით ხოცავენ ათასობით თავის ხალხს... აღა-  
დგინეს ყმობა, წაართვეს მუშებს ყოველივე უფლება

და შემოიღეს იძულებული მუშაობა. დასწიეს ხელ-  
დასი... უმოწყალოდ შეაბეს ქალები ინდუსტრიაში  
ემანსიპაციის სახელით. ფეხქვეშ გათოლეს და ფიქ-  
ციად აქციეს დემოკრატიზმი. ლაბარის და სესის  
სახელით გაყვლიფეს ხალხი. მოატყუეს საზღვარ-  
გარეთელი სტუმრები და თორმეტჯერ მეტ ფასად  
მიყიდეს მანეთი... დაანგრეს ოჯახი და პირუტყვებ-  
სავით დააჯგუფეს ხალხი... მილიტარიზმით გაყენ-  
თეს სკოლა და ხალხის გონება... ფიქციით აქციეს  
არჩვენების უფლება... მოატყუეს ხალხი უმსკავლო  
პოლიტიკური ფრანგოლოგიით, ასე რომ არ გავო-  
ნილა უარესი პოლიტიკური პარტია არასოდეს...

წაბილწეს კანონიერება, გაუღიბეს ათასობით  
უდანაშაულო ხალხი. ბარბაროსულად დასაჯეს კა-  
ცი და ქალი ინტელიგენტობისთვის და ქონებისთ-  
ვის... ოჯახები აავსეს ფარული პოლიციით და ჯა-  
შუშებით. შიში და ზარი დასცეს ხალხს დღე და ღამ  
შეიარალებული ჯარით თვალწინ ტრიალით. გადა-  
სახლეს ან დახვრიტეს ათასობით კაცი და ქალი  
მხოლოდ სხვა პოლიტიკური აზროვნებისთვის. სას-  
ტიკ ცენზურის ქარცეცხლში გაატარეს ყოველი წი-  
გნი, პიესა და მუსიკალური ნაწარმოები. გაათახსი-  
რეს პრესა და რადიო და გადააქციეს პროპაგანდის  
იარაღად. მოსპეს თავისუფლება სიტყვისა, წერისა,  
კრებისა და რწმენისა...

«გაფრთხილებ ლიბერალურ ევროპას და ამერი-  
კას: თუ ხელს შეუწყობენ და დაეხმარებიან ასეთ დე-  
სპოტიზმს, ისინი ვახდებიან მსხვერპლნი ველური  
ძალისა და გაყვებიან რუსეთის ინტელიგენციას, სო-  
ციალისტ-რევოლუციონერებს, მენშევიკებს და სხვა  
გამათავისუფლებლებს ციხეში და ეშაპოტზე... თუ  
ვინმე ფილანტროპს უნდა დახმარება გაუწიოს ჩვენს  
ქვეყანას, გაგზავნოს თავის ხარჯით ამერიკის კომუ-  
ნისტების ლიდერები ერთი ან ორი თვით რუსეთში  
საცხოვრებლად და დაბრუნებისას მოისმინოს მათი  
შეცდომების აღსარება—რა სამოთხეს უმზადებდნენ  
თავის მიმდევრებს...

«ბოლოს, შემადრწუნებელია ის გარემოება, რომ  
ხალხს წართმეული აქვს უფლება თავის საზღვრების  
დატოვებისა; ათასობით იხვეწებიან, რომ ნება მის-  
ცან სამშობლოდან გასვლისა, რის გავრებაც კი არ  
უნდა მთავრობას. კომუნისტებს ეშინიათ, რომ გა-  
სული ხალხი ამცნობს ქვეყანას მათი ექსპერიმენტე-  
ბის სიმართლეს. რა დიდი სიხარულით გავიდოდნენ  
თვით ბოლშევიკებიც კი, რომ არასოდეს არ დაბრუ-  
ნდნენ რუსეთში. ბევრმა იწყინებდა მოიკლა თავი სა-  
ზღვარ გარეთ, რომ არ დაბრუნებულიყო უკან სა-  
ცხოვრებლად. უკანასკნელ დროს აკრძალვა შეცე-  
ლილით კომუნისტების დამახასიათებელი ცინიკური  
კანონით. გასვლა შეუძლია ვინც 500 დოლარს გადა-  
იხდის პასპორტისთვის. ფული უნდა გადაიხადოს  
დოლარით, რომლის ქონა აკრძალულია და რომლის  
ყიდვა რუსეთში მოვებულ ხელფასით თავის სიცო-  
ცხლემი არავის შეუძლია...»

«დიდხანს ყოფნა არაა საქირო ამ გიგანტურ ცი-  
ხეში რომ მალე მოინდომო აქედან გამოქცევა... ჩვენ  
არ შეგვეძლო მეტის მოთმენა და სილატაკის და ჯა-  
შუშობის ატმოსფეროში დარჩენა. გვქონდა მეტი

დრო დავრჩენილიყავით, მაგრამ ჩვენ ლაჩრულად გამოვიქცეთ. ვგრძობდით, თუ კიდევ დავრჩებოდით, ცინიკებად გადავიქცეოდით...

«რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე სადგურ ნეგო-რელოსთან აღმართული იყო ეკლიან მავთულის ღობე, რამდენიმე მეტრის სიმაღლით, რომელსაც იცავდნენ ხიშტიანი სალდათები და რომელიც აღნიშნავდა, რომ აქ თავდებოდა საზღვარი უტოპიისა... ვინ იცის, რამდენი ხალხი დაიხოცა აქ, რომ ეცადა ბედი და საზღვარზე გადმოსულიყო და რამდენი იქნა დაბრუნებული უკან უზარმაზარ ციხე-ქვეყანაში...

«აქ ჩვენ გადავჯექით წვირიან რუსის ვაგონებიდან პოლონეთის ზედმიწევნით სუფთა მატარებელში. როცა ვტოვებდით რუსეთს, ჩვენ ვიცქირებოდით უკან მიშით და შეცოდებით და გულით უსურვებდით განთავისუფლებას ახლო მომავალში გაჭირვებულ 150.000.000 ტრუსადს...

დასასრულ ასე სწერს დურანტი:

«მხიარული ვარ, რომ ჩემი ძველი თავისუფლების ძეგლს ისევ ვხედავ (მოგვხსენებათ—ამერიკის შესავალთან, ნიუორკის ნავთსადგურში, სდგას ვებერთელა ქალის ქანდაკება—თავისუფლების ძეგლი. ელექტრონის სინათლით—აღმართულ ხელში). ყოველ ჩემი დაბრუნებისას მას მეტი მნიშვნელობით ვეგებები. მართალია, სწორად მის ხელში სინათლე ოდნავ ბეჭუტავს, თვით თავისუფლებაც ძალზე შევეცილია, მაგრამ ახლა მე ვბრუნდები იმ ქვეყნიდან, სადაც მხოლოდ ერთი დოქტრინის ქადაგება შეიძლება. აქ კი, ჩემს ქვეყანაში, ვხედავ ათასობით გაზეთებს, რომელნიც თავისუფლად აღიარებენ თავის რწმენას. მესმის ქუჩაში ათასობით სხვადასხვა ჯურის ორატორი, რომელნიც გვირჩევენ თავის კონსტიტუციებს. ვკითხულობ ათასობით ავტორებს, რომელნიც უშიშრად გვახმევენ ჩვენს ცოდვებს და შეცდომებს—და უნდა გამოვტყდე, მონხარული ვარ, რომ ჩემი თავისუფლების ძეგლი ისევ აქა სდგას; და უნდა გამოვტყდე კიდევ, რომ ამას ვწერ მე, ვინც ამ ძეგლს ვწყველიდი და, სანამ არ ვნახე, იმ უტოპიაზე ვლოცულვობდი.»

ამ წერილებს, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი შენიშვნა სჭირდება: საკვირველია, რომ ასეთი წერილების ავტორნი, ამერიკის ურჩევენ საბჭოთა ცნობას! დეპრესიის გამო გაჭირვებული მდგომარეობა ამერიკელებს ყოველნაირ კომბინაციებს აძებნიან—შეიძლება რუსეთის ცნობამ ცოტა ვაჭრობა მოგვიმატოს. ვიცხოვროთ და ვნახავთ, ბევრმა ინანა და ამერიკაც ინანებს.

ნაუბი.

**საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან**

ბლუმფილდის პრესის ხელაქვეყნება.

ბლუმფილდური პრესა თავისი მრავალფეროვანობითა და შინაარსით არასოდეს არ იზიდავდა მკითხველს. მაგრამ ასეთი ლატაკი იგი არასოდეს არ ყოფილა. სტალინის პირადი დიქტატურის ზრდასთან ერთად პროპორციულად იცვება და იფიტება შინაარსით ბლუმფილდური უსრულ გაზეთები. ისინი

გამოუკლებლივ გადაიქცნენ გენერალური ხაზის «კაზიონურ» ორგანოებათ. ლენინ-ტროცკის ეპოქა ამ მხრით ეხლა სანატრელია. სტალინს კომუნისტური მსჯელობა და აზროვნებაც ზედმეტათ მიაჩნია. არის პოლიტიკურად დადგენილებანი, რეზოლუციები და «ბელადების» სიტყვები და ისინი უნდა ბეჭდონ გაზეთებმა და მათ გარშემო უნდა აწარმოვონ მასების დარაზნება რეზოლუციებისა და მისაღმებების სახით. ყოველივე გადასრ-გადმოხრა დაუშვებელია. ასეთი რამისთვის რედაქტორები სასტიკათ ისჯებიან. ცხადია, ასეთ პირობებში პრესა თავის მნიშვნელობას კარგავს და არც მკითხველს იზიდავს. ბლუმფილდური გაზეთების დიდი ტირაჟი იმას არ ნიშნავს, რომ იგი მკითხველს მოსწონს, მას აკმაყოფილებს ის მას ყილდუმლოებს მიტოვ, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი გაიგოს. რათა არასდერი გამორჩეს და არ დაისაჯოს. თუ ეს დადგენილებანი არ იცი და მით არ ხელმძღვანელობ, ისე საბჭოთა კავშირში ვერ იცხოვრებ. გაზეთი ისეთივე საჭიროა იქ, როგორც მაგალითათ პასპორტი.

ამ მხრით კიდევ უფრო ცუდ პირობებში არის ჩაყენებული ნაციონალური რესპუბლიკების პრესა. მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებს იმის საშვალევა მაინც აქვთ, რომ პოლიტიკურად დადგენილებანი, სტალინის ციტატებით გამოართონ და გააშუქონ. მათში თანამშრომლობენ ისეთი დიდი ყურნალისტები, როგორიც არიან—არდეკი, ლუნაჩარსკი, ზასლავსკი და კალცოვი, რომლებსაც ოფიციალურ დადგენილებათა ხორცის შესხმაც კი ეხერხებათ.

ნაციონალური რესპუბლიკების პრესა ყველა ამ უფლებას მოკლებულია. მთავარ საკითხების შესახებ მთავარს ის ვერ დასწერს, იგი მან ან «პრავდა»-დან და ან «იზვესტია»-დან უნდა გადმოიბეჭდოს. ორიგინალობას ვერც პარტიული ორგანიზაციები გამოიჩენენ. ტფილისის კომპარტიის კომიტეტმა ისეთივე რეზოლუცია უნდა გამოიტანოს, როგორც მოსკოვისას გამოაქვს. მათ დარჩათ მხოლოდ ადგილობრივი ქრონიკა და ისიც განსაზღვრულ ფარგლებში, ყველაფერს ვერც იქიდან დაბეჭდენ.

რამდენიმე წლის წინეთ ქართულ «კომუნისტში» კიდევ შეხვდებოდი უსრულისტის წერილებს, რომელიც წაიკითხებოდა. მოსკოვში ცნობილ რენეგატ უსრულისტს ზასლავსკის დღესაც აძლევენ ნებას უკბინოს ემიგრაციას, საქართველოში გელეიშვილს აღარც ამაზე შეუძლია სწეროს. ფ. მახარაძეს ნება აქვს «გააშუქოს» მხოლოდ ბერიას დადგენილებანი, არც ძველი ბლუმფილდის პ. საყვარელიძისთვის დარჩა გაზეთში ადგილი. ქავთარაძე-ოქუჯავა ხომ სულ გადავენეს. სამაგიეროთ თავს გაბეზრებენ სტალინის ციტატებიანი წერილებით ვილაც გოგაბერიძე-იმედაძეები. წინეთ «კომუნისტში» სასამართლოების ამბებს მაინც ბეჭდავდა ისე, რომ აღამიანი მისი კითხვით ტვინს არ იღობდნ. სტალინის მიხედვით ვილაც ერთგული დამცველი ამასაც აუმნედრდა და საინტერესო განყოფილება მოსპეს.

რასაკვირელია, ყოველივე ეს რედაქტორის ღირსებით, არ ახსნება. «კომუნ.» რედაქტორი დღესაც

იგივეა, რომელიც ამ წლის წინეთ იყო, საქმე გენერალურ მდივანშია. როგორც სჩანს მეტისმეტი «კაზიონობა» მასაც მოსძულებია და განუზრახავს პატარა სიცოცხლე მისცეს გაზეთს. აი რას ვკითხულობთ «კომუნისტის» ამა წლის 26 ივლისის ნომერში:

«უკანასკნელ დრომდე, სწორი იგი, საქართველოს ყოველ დღიურ პოლიტიკურ პრესასთან ხელოვნების მუშაკები არ იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებულნი. გაზეთებში ნაკლებათ იბეჭდებოდა მხატვრული პროდუქცია; მასალების მხატვრულ ფორმებში იშვიათათ თუ ღებულობდნენ მონაწილეობას მწერალი და მხატვარი. ხელოვნების საკითხების გაშუქებას, მხატვრულ პროდუქციის კრიტიკულათ გაშუქებას გაზეთის ფურცლებზე არ ქონდა სისტემატიური ხასიათი. საქ. კომ. პარ. ცეკას დადგენილების საფუძველზე «კომუნისტის» რედაქციამ გაზეთში საბჭოთა ხელოვნების მუშაკების სისტემატიური თანამშრომლობისა და ხელოვნების საკითხების მოწესრიგებისათვის 25 ივნისს მოიწვია საბჭოთა მწერლების, ხოლო 22 ივლისს საბჭოთა მხატვრების თათბირი»-ო.

ბერიას დადგენილების შემდეგ «კომუნისტის» რედაქტორმა კიკნაძემ კრებას განუცხადა:

«თათბირის ამოცანაა გამოვსთქვათ საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიმდინარე მტკივნეული საკითხები, დავსახოთ ღონისძიებანი ჩვენი მუშაობის გასაჯანსაღებლათ, ჩავაბათ ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში ყოველდღიური პრესა და მით დავებმაროთ ჩვენს საბჭოთა სახვითი ხელოვნების მუშაკებს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში»-ო.

მოქ. კიკნაძე ძველი ბოლშევიკია და მან წინააღმდეგ უნდა იცოდეს, რომ ამ «კაზიონურ» დავლებიდან არასფერი არ გამოვა, გარდა «კაზიონურ» წერილებისა. ქართველი მწერლების «მიმდინარე მტკივნეული საკითხებს» შეადგენს სიტყვის თავისუფლების უქონლობა. ამას კი ვერც კიკნაძე და ვერც ბერია ქართველ მწერლობას ვერ მისცემს. მწერლობამ იგი ქართველ დემოკრატიასთან ერთათ უნდა მოიპოვოს. ეს არის ერთათ ერთი საშუალება, რომლითაც ქართულ მწერლობასა და პრესას შეუძლია თავი დააღწიოს გაკატრებისგან. ბერია-კიკნაძე-ლუღუჩავს რეცეპტი კი, რუქას არაკია.

აღფა.

მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა

შეიძლება ეს ჩემი შენიშვნა ვისმეს არც ესია მოვინოს და მით ნაწყენიც დარჩეს, მაგრამ ტყვილათ კი არ უთქვამს დავით გურამიშვილს:

«აწ რომ ავი არ ვაძავო, კარგი როგორ უნდა ვაქო? ავს რომ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელი რა დავარქო?»

და მართლაც ძნელია არ აძავო ის წესები, რომლებიც ქართულ კალონის კრებებზეა გამეფებული! აქ დაცული არ არის: არც სიმშვიდე, არც პივიენა, არც ზრდილობა, არც კრების პატივისცემა და თუ გნებავთ, არც ეროვნული თავმოყვარეობა.

ამ წესების შესახებ ნაცნობები მაფრთხილებდნენ, მაგრამ ასეთათ იგი მე მაინც ვერ წარმომედგინა. ნა-

ხულმა ყოველსავე მოლოდინს გადააქარბა. გასართობ სადამოწე—სიამოვნებას ვერ მიიღებთ, პოლიტიკურ-საზოგადოებრივზე—ახრს ვერ გამოიტანთ. კარგი ვაქაცობა უნდა, კრებაზე ბოლომდის გაძლოთ, ან სმაურობით და კერძო ჩურჩულით ყურებს გამოგიტყედნენ, ან თუთუნის ბლოში გამოგახობენ. ასეთი ატმოსფერა მხოლოდ ყავახანებშია და არა სპეციალურათ გამართულ კრებებსა და დღესასწაულებზე. ქართველებს კი ყავახანის ადათები აქ გადმოუტანიათ და თავის ქცევას ზოგიერთი ყავახანის ლოდიკით ასაბუთებს.

ახირებული მსჯელობაა! როგორ შეიძლება ბავშვებისთვის გამართული «შობის ხე» ყავახანას შედაროთ, 26 მაისის დღესასწაული—სინემას?! არ შეიძლება იდეური და საზოგადოებრივი დახლით გაზომოთ. მაშინ იგი კარგავს იდეურსა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

«შობის ხე» წელიწადში ერთხელ იმართება. ის უმთავრესათ ბავშვებისათვის არის: მასზე სიამოვნებით მიდიან დიდებიც. მშობლებს ჩვილი ბავშვიც კი მიყავთ, ეს გასაგებია. უნდათ ამ დღით ისარგებლონ, ნახონ ნაცნობ-მეგობრები. გააცნონ ბავშვებს ქართველი ყმაწვილები და საზოგადოება. სხვანაირი ნახვა-შეხვედრის საშუალებას უმეტესობა ემიგრაციისა მოკლებულია. მით უმეტეს ბავშვები, რომელთაც საერთო ქართული, არც სკოლა და არც სხვა გასართობი არ გააჩნიათ. ამ დღეს კი ბავშვები ისმენენ ქართულ ლექსებს, ქართულ საუბარს. ნახულობენ ქართულ თამაშს. პატარებზე არა ნაკლები სურვილი აქვთ ამისი დიდებს. ასეც უნდა იყოს, ყოველივე ეს გავიგნებს შენს სამშობლოს, შენს წარსულს.

მართლაც რომ დიდათ ნასიამოვნები დარჩება დიდიც და პატარაც, რომ იქ საბავშვო სადამოს ჩვეულებრივი წესი იყოს დაცული. სამწუხაროთ ეს ასე არ არის. დარბაზში ბავშვების ყოველმხივით უნდა გაისმოდეს, ამის მაგიერ დიდების მიერ შექმნილი უთავბოლო სმაურობა სუფევს.

ამან ჭირი მოგქამოთ, რომ იქ ჰაერით სუნთქვა შეიძლებოდეს. დარბაზში კვამლის ბულია დამდგარი. თამბაქოს წვევაში ერთიმეორეს ეჯიბრებიან—დიდები. ახალგაზნდები და ქალები. გეგონებათ, ბავშვების სადამოწე კი არ ვარ, არამედ ორთაქალაში ბაღდოს ყავახანაშიო. გასაკვირია, როგორ იტანენ ასეთ ჰაერს ბავშვები?! წარმოგიდგენიათ ჩვილი ბავშვის დედა ხელში, რომელსაც რამდენიმე საათის განმავლობაში გარშემო კვამლით აფუტებენ! წინეთ ასე იცოდნენ—თუ მანდილოსანთა საზოგადოებაში იყავი, პაპიროზის მოწვევის უფლება უნდა აგელოთ მისგან. ზრდილობა ამას მოითხოვდა.

შეიძლება ვინმემ სთქვას: ეს ძველი ამბავია, ენლაკი თავისუფლებაა. არ არის სწორი. ზრდილობა და თავისუფლება ერთიმეორეს არ უარყოფენ. ინგლისელები ყველაზე უფრო თავისუფლები მოყვარული ხალხია, მაგრამ ამავე დროს ყველაზე უფრო ჯენტლიმენი არიან. ზრდილობა არც ქართველებს გვაკლდა და შეიძლება თავისუფლებასაც ამიტომ ვაფასებდით დიდათ და ვიღებდით მსხვერპლს მისთვის. თავისუფლება მართო უფლებას კი არ აძლევს

ადამიანს, არამედ—მოვალეობასაც. ერთის მოქმედებამ მეორეს შევიწროება არ უნდა გამოიწვიოს, სხვისი უფლება არ უნდა შელახოს. სხვანაირათ გაგებულნი მოქმედების თავისუფლება—«საღალატინაა», რომელიც ქართველმა ერმა რევოლუციის ქარტეხილშიც კი დაგმო.

რასაკვირელია ჩვენ ამით თამბაქოს მოწვევის უფლებას კი არავის ვართმევთ. არა. ეს ადამიანის პირად უფლებას შეადგენს. მაგრამ ამისთვის არის თავისი დრო და ადგილი—დასვენების დრო და დერეფანი.

ჩვენ კი ასე არ ვიქცევით. წვეულების დარბაზში თამბაქოს ვეწვევით მაშინაც კი, როცა ეროვნულ ჰიმნს იმღერებენ, როცა სამშობლოსთვის დაღუპულთ იგონებენ, ხოლო მომხსენებელსა და ლექტორს ვინ დაგიდევს! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ პატივს არ ვცემთ არც იდეასა და არც პიროვნებას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, არ მივიდეთ. მორწმუნე ეკლესიაში არ წავა, თუ მას ორი საათით წირვის მოსმენა არ შეუძლია. ჩვენგან ასეთ მსხვერპლსაც არ თხოვლობდნენ, არის ანტირქაქტები, როცა საშვალეობა გაქვთ დერეფანში გამოხვიდეთ და პირადი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოთ.

არც სიმღერა და თამაში მიმდინარეობს წესიერათ. წინ ის დგება, ვინც უფრო უხეშია, არ ირიდებენ არც ბავშსა და არც მოხუცს. ქალ. დავრიშაშვილის ლეკური აბა ვის არ უდა დაინახოს! იგი ყველას სწყურია, მაგრამ ამიტომ ბავშვები კი არ უნდა გადავაჯირავლოთ. შეიძლება ისეთი წრის გაკეთება, რომელიც ყველას მისცემს დანახვის საშვალეობას. ეს არც ისე ძნელია.

ერთი სიტყვით, კოლონიის გამგეობამ და საღამოების ხელმძღვანელებმა წესრიგის მხარეს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. არა მგონია რომ ამ ნაკლის დაძლევა არ შეიძლებოდეს. ამ მხრით ბევრის გაკეთება შეუძლიათ მანდილოსნებს. მათ მეტი თავანჯიანობა უნდა მოსთხოვონ მამაკაცებს. ნათქვამია—ქალთა საზოგადოება ადამიანს აკეთილშობილებსო.

რატომ მაინც და მაინც ჩვენი კარგი თვისებები უნდა დავივიწყოთ და ცუდი შევეითვისოთ უცხოეთში! საქირთა წინამდევ—ცუდი დავივიწყოთ და კარგი შევეითვისოთ.

აპქი.

**ადეკაბიჯანელთა შორის**

ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების 15 წლის თავზე მაისის 28, ადერბეიჯანის საზღვარგარეთელ ეროვნულმა ცენტრმა თავის ორგანოს «ისტორიკალის» მთელი ნუმერი უძღვნა ამ ისტორიულ დღეს. მრავალის წერილით და სურათით.

მეთაური აღნიშნავს, რომ სადღესიო საკითხია ყველა აქტიურნი ძალების გაერთიანება ეროვნული დროშის ქვეშ გადაწყვეტი ბრძოლისათვის და შემდეგ, სხვათა შორის. ამბობს: «რუსული იმპერიალიზმის წინამდევ ადერბეიჯანი განმარტოებული არაა. ყოვლის უწინარეს ის მჭიდროდ დაკავშირებულია

კავკასიის მეზობელ ერებთან, რომელთა დღევანდელი ლოზუნგია იდეა კავკასიის კონფედერაციისა». გარდა ამისა შემდგარია კავშირი რუსეთში მომწყვდეულ ყველა დაჩაგრულ ერის საერთო მიზნისათვის, დასძენს ყურნალი.


თავის დასაბუთებულ წერილში «ადერბეიჯანის რესპუბლიკის შესახებ» მ. ე. რასულ-ზადე ანალიზს უკეთებს ადერბეიჯანის რესპუბლიკის ფაქტს. არკვევს მის ისტორიულ მნიშვნელობას. მის მოღვაწეობის საშინაო თუ საგარეო დარგში და თავის მხრითაც იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკის მოღვაწეებს ესმოდათ, რომ მათი ბედი გადაჯაჭვულია კავკასიის სხვა რესპუბლიკებზე. მართვლი პარტიის «მუსავატის» კონგრესზე გამოტანილი იყო რეზოლუცია კავკასიის კონფედერაციის დაარსების საქიროებისათვის. ამას გარდა ადერბეიჯანმა და საქართველომ სამხედრო თავდაცვის პირობაც შეკრეს და სომხეთსაც წინადადება მისცეს მიმხრობოდა მათ კავშირს». დასასრულ ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ «თუმცა ეს რესპუბლიკები მატერიალურად დამარცხდნენ, მაგრამ მორალურად გაიმარჯვნენ. იმარჯვებს იდეა, იმარჯვებს იმის იდეა, რომ ამ რესპუბლიკათა სრული ხსნისათვის აუცილებელია მათი მტკიცე კონფედერატიული კავშირი».

მ. ვეკილი, ავტორი წერილისა «28 მაისი» მოუწოდებს ადერბეიჯანელებს გაერთიანდნ და დაირაზმნენ ეროვნულ მოძრაობის გამოცდილ მეთაურთა გარშემო და არ აყვნენ ბოლშევიკების პროვოკაციას. მერმე იგიც ეხება კავკასიის პრობლემას და სწერს: «კავკასიის ერები რომ დროზე გაერთიანებულიყვნენ, მაშინ ჩვენი ისტორია სხვა გზით წავიდოდა და რუსეთი ვერ შესძლებდა ჩვენი ქვეყნის მეორე ოკუპაციას. საფუძველი ჩვენი განთავისუფლებისა რუსეთის უღლისაგან არის კავკასიის კონფედერაცია».

ამავე საკითხს უბრუნდება ჯაფარ-ბეი სეიდამეტი (წერილი «ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა»). მისი შეხედულობით კავკასიელთა გაერთიანება საერთოდ გადაუღლებს რუსეთის დაჩაგრულ ერების განთავისუფლებას. ავტორი თან გამოსთქვამს მწუხარებას, რომ სომხეთი ჯერ კიდევ ამ გაერთიანების გარეშეა.

მ. ბ. მეკმედ ზადე თავის წერილში «ადერბეიჯანი და მისი მეზობლები» არკვევს ადერბეიჯანის ურთიერთობას ჩრდილო კავკასიისთან, საქართველოსთან, სომხეთთან, თურქესტანთან, თურქეთთან და სპარსეთთან.

ჩრდილო კავკასიასთან ადერბეიჯანი გადაბმულია მრავალი სარწმუნოებრივ, კულტურულ-რასულ კავშირით და აგრეთვე სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით, ამბობს ავტორი: საქართველოსთან ჩვენ დიდი ხანია კეთილმეზობლური განწყობილება გვაქვს. სომხურად სიტყვა «მეზობელი» ნიშნავს ადერბეიჯანელს, ასეა ადერბეიჯანულადაც. სამწუხაროა მხოლოდ, რომ სომხთა ხელმძღვანელების პოლიტიკა არ ეთვისება ამ ბუნებრივ მეზობლობას. თურქესტანთან ჩვენ ნათესაური დამოკიდებულება გვაქვს. ადერბეიჯანის და თურქეთის ურთიერთობა-



ზე ხომ ლაპარაკი მეთია. ადერბეიჯანის და საერთოდ კავკასიის სახელმწიფოებრივს არსებობას დაჟინებით შიოთხეზს როგორც თურქეთის, ისე სპარსეთის ინტერესები.

მირზა ბაღა («ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის») ვრცლად მოგვითხრობს ადერბეიჯანელთა ბრძოლის ისტორიას თავისუფლების აღსადგენად როგორც შიგნით, ისე გარეთ ემიგრაციაში, და აქცევს ყურადღებას დაჩაგრულ ერების, განსაკუთრებით კავკასიელების გაერთიანების აუცილებლობას. მირ იაკუბის წერილში ნაამბობია, თუ როგორ იცვენს კავკასიის რესპუბლიკები.

დანარჩენ მასალათა შორის უნდა აღვნიშნოთ პოლონურიდან გამომდებელი მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი, რომლიდანაც სჩანს, რომ პოლონელებს განზრახვა ჰქონდათ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს 1877-78 წლ. ცალკე კორპუსი შეედგინათ ომში ჩასარევად და კავკასიისაჯანყებისთვის ხელის შესაწყობად.

«მუსავატის» პარტიამ და ადერბეიჯანის ცენტრმა მოწოდებით მიმართეს პარტიის წევრებს და საერთოდ ადერბეიჯანის მოქალაქეთ, სადაც სადღეისო ლოზუნგებად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- 1) დარაზმვა ყველა ცოცხალი და პატრიოტულად განწყობილ ძალისა ეროვნულ დროშის ქვეშ და ამ ერთობის დემონსტრაცია როგორც მოკეთეთა ისე მტრების წინაშე;
- 2) დაკავშირება კავკასიის ერებთან, რომელთა სასიცოცხლო ინტერესები გადაჯაჭვულნი არიან ჩვენს ინტერესებთან, და აფრიალება კავკასიის კონფედერაციის დროშისა;
- 3) დაახლოება ამისთანავე რუსეთის სხვა დაჩაგრულ ერებთან—უკრაინასა, თურქესტანსა, ედილურალსა, ყირიმთან და სხ.;
- 4) არ უნდა მივყვეთ მტრის პროვოკაციას და შევინახოთ მეტროლი ძალები მოახლოებულ გადამჭრელ მომენტისათვის; შემოვიკრიბოთ ქვეყნის ყველა აქტიუური ძალები და დავუმორჩილოთ ისინი ეროვნულ დროშას.

**ჯაქ. ფალიაშვილის ბარჯაჯვალეზა**

ტფილისში გარდაიცვალა კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, ავტორი «აბესალომ და ეთერის», «დაისის» და სხ.

**ლუარსაბ სინარულიძე**

ამ თვის რვას პარიზში თავი მოიკლა ახალგაზდა ქართველმა ლუარსაბ სინარულიძემ. განსვენებული დაიბადა ბათუმში 1905 წ., დამთავრა იქაური გიმნაზია და მერე სწავლობდა ქართულ უნივერსიტეტში სამედიკო ფაკულტეტზე. 1927 წ. იძულებული გახდა დაეტოვებია სამშობლო და ჩამოვიდა საფრანგეთში. სამწუხაროთ უსახსრობისა გამო აქ ვერ მოახერხა სწავლის დასრულება,

ქარხნებში მუშაობდა და ამით ირჩენდა თავს. ბოლოს დროს უადგილოთ იყო და გაქვივრებასაც განიცდიდა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი მიზეზი მისი გამწარების მის ნაწხს. მგროზობიარე არსებებს მეტად ამძივებდა საქართველოს აწინდელი მდგომარეობა, ემიგრაციაში გამეფებული სულიერი აუშოსფერა, ჩვენი საკითხის გართულება, დიდი ხნით უცხოეთში იძულებითი ყოფნა. იგი ვერ ხედავდა თავის ცხოვრების საგანს, საქმეს. იბრძოდა. ეძიებდა გამოსავალს... და ახალგაზდა ძარღვებმა ვერ გაუძლვეს, ვერ აიტანეს დიდი ტვირთი და უდროოთ გაწყდა ძაფი.

ლუარსაბის ტრადიკულმა სიკვდილმა მეტად წრფელი მწუხარება გამოიწვია მთელ ქართველობაში. განსაკუთრებით მწარედ იგრძენეს ეს სიკვდილი მათ, ვინც კარგად იცნობდენ გარდაცვალებულს, სიმპატიურს, ფაქიზს, გულწრფელს, უბრალოს, წყნარს, გონიერს და ზნეობრივ ახალგაზდას. მის დაკრძალვას დაესწრენ ბევრნი და რაც აღსანიშნავია, მთელი ქართველი ახალგაზდაობა თითქმის გამოუკლებლივ, გულით მგლოვიაარე. კუბოს ამკობდა გვირგვინი და თაიგულები. საფლავთან სიტყვები წარმოსთქვეს ს. ფირცხალავამ და დ. ხარისჭირაშვილმა.

X.

ლ. სინარულიძის დამკრძალავი კომისია ღრმა მადლობას მიუძღვნის იმ პირებს, რომელთაც ქონებრივი დახმარება აღმოუჩინეს კომისიას და მისცეს საშუალება ღირსეულად დაესაფლავებია მიცვალებული. კომისიას თავის მოვალეობად მიაჩნია მოხსენიოს, რომ ყველამ დაუწარებლად გამოიღო თავისი წვლილი და ყველა ცთილობდა ყოველგვარად ხელის შეწყობას, რითაც ვის შეეძლო.

**ღ ა ხ მ ა რ მ ბ ა**

ჩვენ გვთხოვენ გამოგაქვეყნოთ შემდეგი:

ნიუ-იორკში არსებულმა ქართველთა საზოგადოებამ, ეს რამდენიმე თვეა, გამოუგზავნა საქართველოს ელჩ ბ. აკ. ჩხენკელს გაქვივრებულ ქართველთა დასახმარებლათ 137 დოლარი, ფრანგულ ფულზე 3.490 ფრ. 76 სანტ. ელჩმა, თანახმით შემომწირველ საზოგადოების სურვილისა, გამოზოგვით აძლია დახმარება გაქვივრებულთ და საელჩოს მოხსნამდე გასცა სულ 2.101 ფრ., ხოლო დანარჩენი 1.390 ფრ. მან გადასცა პარიზში არსებულ ქართველ ჭლებიანთა დამხმარე კომიტეტს. გასამართლებელი საბუთები უკლებლათ ინახება საელჩოს ანგარიშებში.

**პარიზის ქართული ეკლესია**

წინამძღვარი ქართველ მართლმადიდებელ მრევლის პარიზში მ. გრ. ფერაძე მიწვეულია ექსტრაორდინალურ პროფესორად პატროლოგიის კათედრაზე დ მართლმადიდებელ თეოლოგიურ ფაკულტეტ-ვარშავის უნივერსიტეტში. მ. გრ. ფერაძე დასთანხმდა და მთავარეპისკ. გერმანოზის ნებართვით წელიწადში ორჯერ (საშობაოდ 20 დეკ. 20 იანვრამდე და სააღდგომოდ სამი კვირით) იქნება პარიზში.